ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ცხოვრება

№ 6

ეროვნული.—ისტორიული

1911

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

I—ახალგაზდა ქალი,—ქანდაკება. 1
II—გაზაფხული,—ლექსი, ვაშა-თშაველასი . . . .
III—პატარა ამბავი,—ვ. მალაქიაშვილისა . . . 5
IV—გაკვეთილის გამოტოვება,—დ. თურდოსპირელისა . 13
V—მთის წყარო,—ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . 20
VI—ზღვის სიმდიდრე,—ჰისეტკისა, (თარგმ.) ნ. წუწუნავასი. 21
VII—ცეცხლი ნავთის ქარხანაში,—(სომხურით) შირვანზადესი თარგმანი ე. კ—ისა 29
VIII—სოკოზე,—ხუციშვილისა 37
IX—ორი მხატვარი,—თარგმანი ავალიანისა . . . 41
X—ლოთი,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა . . . 52
XI—ქიმია,—ჰაერი—ჰოლ ბერისა (თარგმ.) ნ. ლომაურისა. 54
XII—რებუსი 64

ტფილისი, ელექტ.-მბეჭედ. ს. ლოსაბერიძისა მოსკ. ქ., საკ. სახ. № 5.

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე.

ივნისი, 1911 წ.

ახალგაზდა ქალი,—ქანდაკება.

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

I—ახალგაზდა ქალი,—ქანდაკება. 1
II—გაზაფხული,—ლექსი, ვაშა-თუშაველისა . . . 3
III—პატარა ამბავი,—ვ. მალაქიაშვილისა . . . 5
IV—გაკვეთილის გამოტოვება,—დ. თურდოსპირელისა . 13
V—მთის წყარო,—ლექსი ბ. ქუჩიშვილისა . . . 20
VI—ზღვის სიმდიდრე,—ჰისტეკისა, (თარგმ.) ნ. წუწუნავასი. 21
VII—ცეცხლი ნავთის ქარხანაში,—(სომხურით) შირვანზადესი თარგმანი ე. კ—ისა 29
VIII—სოკოზე,—ხუციშვილისა 37
IX—ორი მხატვარი,—თარგმანი ავალიანისა . . . 41
X—ლოთი,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა . . . 52
XI—ქიმია,—ჰაერი—ჰოდ ბერისა (თარგმ.) ნ. დომაურისა. 54
XII რებუსი 64

ტფილისი, ელექტ.-მბეჭედ. ს. ლოსაბერიძისა მოსკ. ქ., საკ. სახ. № 5.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული.

ინვისგან შეწუხებულმა
ვნახე—ზამთარი კვდებოდა;
ლელმა ნაკრავი ყინული
მდინარეებზე ტყდებოდა;
ბატი, წერო და ყარყატი
მათ ნაპირებზე სხდებოდა
და გაზაფხული ზლაზვნითა
სამარიდანა დგებოდა.
ტანით სუდარას იხდიდა,
დიბ-ფარჩით იმოსებოდა.
ეუწყა განგების ძალსა
მთისა, ბარისა, ტყისადა:
„გამოიჩინეთ ყველამა,
უნარი გახლავთ რისაცა,
ბრძანება არი უფლისა—
აყვავდეს ქვა და ქვიშაცა!“
მიწის გულ-მკერდში ჩახუტულთ
თავი ამოჰყვეს იათა,
სამოთხის ფერი დაიდვეს
არე-მარეთა ტყიანთა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გამართეს ზეიმი
მწერთა, ოთხ-ფეხთ და ფრთიანთა.
სიკოკხლე სკხოვრობს ყოველგან,
სიკვდილი არ სჩანს, მომკვდარა;
ჟუჟუნა წვიმამ დაუშვა,
მთიდან ღვარები მომსკდარა.
გუნდი და გუნდი ყვავილთა
მიწის გულ-მკერდზე მიმსხდარა,
ნაშენი კხვრის და ძროხისა
ფარებად კარზე მომდგარა. —
დიდება უფლის სახელსა,
რა კაი საქმე მომხდარა!

ვაჟა-ფშაველა.



პატარა ამბავი.

I.

ნელეთმა კალთები აიკრიფა...

ნისლის საბანი-ღა ჰბურავს მიდამოს...

აყლორტებული ტყე-ველი ყურებაცქვეტილია ვით კურდღლის ბაჭია.

ღამით ნაწოვი რძე ცვარად ადგია მცენარეთა ტუჩებს...

აი, მზემაც ისართ კონები სტყორცნა ცის კამარას... ოქროდ დასახა ფირუზის გუმბათი...

გორაკებს გვირგვინს უგვირისტებს, ბუზმენტებით უმკობს...

დაბლობები და ხეობანი ჯერ კიდევ ვერ იხილვენ მზის სხივებს...

სადგური ქედიანიც კარგა ხანს იქნება გულ-დაწყვეტილი: მნათობის შუქს აგრე ადვილად არ დაუთმობენ ირგვლივ შემოწოლილი სერები...

არც იწუხებს თავს, შეეჩვია ასეთ ყოფას. მიუყუდნია

ზურგი ერთ აკოკბებულ სერისთვის და მდინარის დუდუნს ის-მენს. ბალჩებს გულში მხურვალედ ჩაუკრავთ სადგურზე ფრსა-მსახურეთა ბინები... ირგვლივ ზურმუხტის ხალიჩებია გაყვა-ნილი...

სადგურის მოსამსახურენიც ახლა-ღა ილვიძებენ... მატა-რებელს ელიან... ემზადებიან...

აქა-იქ ხურჯინიანი მგზავრები სჩანან. . ზოგი რკინის ღო-ბეს მისწოლია, ზოგიც ჩამომჯდარა. უცქერენ სამ წყვილ რელ-სებს, რომელნიც გველებივით გაწოლილან და ორივ მხრივ მოზურმუხტებულ გორაკებში ინთქებიან.

რამდენიმე ფეხ-შიშველ, თავ-შიშველი ბავშვიც მოუთმენ-ლად ელის მატარებელს... თმა-აბურძგნულნი ძილს ებრძვი-ან... რაღაც-რაღაცები გამოუტანიათ მგზავრებისათვის მისა-ყიდად.

მელიკოც ამათ რიცხვშია... სამი წყვილი ხაჭაპური აქვს... სულ ცხელ-ცხელი, ორთქლი ასდის.

ცოტა ხანი და მატარებელმაც დაიწივლა, დაიზუზუნა, გააპო დილის დუმილი... ტყე-ღრემ ბანი მისცა... არემ გაი-ღვიძა...

მთელი ქედიანიც ფეხზე დადგა... სადგურის უფროსი წითელის ქუდით კარებში დადგა, მისი თანაშემწე რელსებს მიუახლოვდა—მატარებელს წასასვლელი ნიშანი უნდა ჩამოა-რთვას.. მობუზული მსახური ზართან აიტუზა—მარჯვენა ხე-ლი ენაზე ჩამოკიდებულ ბაწარს წაავლო.

მგზავრებიც აფუსფუსდნენ, ბარგი-ბარხანა ხელში აიღეს, ბილეთებს ისინჯვენ... ფიქრობენ, თუ რა ადგილს უფრო ად-ვილად ავლენ და დასხდებიან მატარებელში...

მოვაჭრე ბავშვებმაც თავიანთი სავაჭრო მოიმარჯვეს და გაფაციცებით არიან.

— ქშშშ... ქშშშ...—მოქშინავს მატარებელი და ჰაერში ორთქლის ბურთებს ისვრის... მოიზლანზნება ვით ვეშაპი... თან სახლები წამოუკიდია ზურგზედ და მოდრიგინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა... ერთი წყვილი რელსები ტახტად გაიხადა, გულ-მოსულმა დაორთქლა, თავს სიმწრის ოფლის ცხელი წვეთები დააყარა.

— ნაუ... მოისმა ზარის ხმა.

— ვის გნებავთ ყველი... მაწონი... კვერცხები?..

— კარგი ვაშლები... ქათამი... ხიჭაპური... რძე...—იძახიან მატარებლის დამხდური ბავშვები და აქეთ-იქით დაცანცარობენ...

— აქეთ პატარა, აქეთ! რა მოგცე? რა ღირს? ხომ საღია?...—ეკითხებიან მგზავრები.

— შაური... ორი შაური... თითო ორი კაპეიკი...—ისმის ბავშვების პასუხი.

— ნაუ... ნაუ!..— კიდევ ამოიკვნესა ზარმა... ეხლა ორჯერ.

მატარებელს რამდენიმე მგზავრი მოუყვანია ქედიანისათვის... მოსამსახურენი გადი-გამოდიან... ზოგმა ბავშვმა უკვე დაიცარიელა ხელი. რიგიც ახლა იცარიელებს და ფულს ითვლიან.

მელიკომ სამი ხაჭაპური უკვე გაყიდა. დანარჩენ სამზედაც მოურიგდა ერთ დედაბერს. ახლა ფული უნდა აიღოს. დედაბერს ხურდა არ აღმოაჩნდა,—მანეთიანი-ღა აქვს.

— დაახურდავებ, გოგო?—ეკითხება მელიკოს და თან ხაჭაპურებს აკვირდება.

— კი ბები, კი,ახლავე—და მელიკომ ფული გამოართვა.

— მალე, თორემ მატარებელი წავა!..—ცხარობს დედაბერი და თან სათვალეებს ისწორებს.

მელიკომ კი „ბუდკასთან“ მიირბინა.

— მალე, შენი ჭირიმე, მალე!—ეხვეწება მებუდკეს,— უჩქარე, თორემ მატარებელი აინძრევა...

— რა გაჩქარებს, გოგო? თუ წავა—წავიდეს,—დინჯად ეუბნება მოხუცი მებუდკე და ზარმაცად ეძებს ხურდას,—მელიკოს მიცემული მანეთიანი-კი დახლის უჯრაში ჩაუძახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაუ... ნაუ... ნაუ...—ახლა-კი სამჯერ ამოიძახა ზარმა... მელიკო ატორტმანდა... დაუსტვინეს... ორთქლმავალმა ამოიგმინა.. მატარებელი დაიძრა...

— მალე, მალე!—ყვირის გაცხარებული დედაბერი მატარებლიდან... მელიკო-კი ჯერაც არ განთავისუფლებულა, ტყუილად აჩქარებს მებუდკეს. საშინლად სწუხს: ხან მატარებელს უცქერის, ხან მებუდკეს...

კიდევ წუთი და ფულებიც ხელში აქვს... მატარებელი ჯერ კიდევ ჩქარა არ მიდის, მგონი დაეწიოს... მოწყდა. მისდევს, რაც შეუძლია... მატარებელი-კი თანდათან ფეხს უჩქარებს... აი, ესაა მელიკო უნდა დაეწიოს მოხუცის ვაგონს... დედაბერსაც ხელები გამოუშვერია...

უცებ ბავშვმა ფეხი წაჰკრა და ცემენტით მოლესილ ბაქანს დაასკდა... ფულები დაეფანტა... დედაბერმა შეჰკივლა—უკან გადიზნიქა...

— დედავ, შვილო, კინაღამ ცოდვა მეკითხა,—წამოიძახა და გაშხლართული მელიკოც კარგა უკან ჩამორჩა.

— დედიკო, რა მომივიდა?!—წამოიძახა მელიკომ და ფიცხლავ ზეზე წამოიჭრა.

მატარებლის კუდი-ღა დაინახა. ფულები საჩქაროდ მოკრიბა. ამხანაგები შემოესიენ, ვიშვიშებენ, ვალალებენ.

— რა მომივიდა ეს რა მომივიდა? რისთვის წავართვი იმ ქალს ფულები?—ამბობდა მელიკო და ის იყო სატირლად ემზადებოდა.

— გოგო, შტერი ხომ არა ხარ? ფული იშოვე და სტირი?—დაცინვის კილოთი უთხრა ერთმა მოზრდილმა ამხანაგმა.

— ამ ხელა კაცს ჭკუა არა გაქვს!—შენიშნა მეორემ,—მაგას ჰქვია ფულის შოვა?..

— რა უყო აწი ამ ფულებს? რა მოუხერხო?.. ამდენი არ მერგებოდა. . ცოდვაა... დედა რას მეტყვის?—წუწუნებდა შეშინებული და დარცხვენილი მელიკო. თავისი ტკივილი სრულიად არ ახსოვდა, დაბეჟილ ხელს ყურადღებას არ აქცევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებში ზოგი აიმედებდა, ზოგიც, ცოტა არ შურით შეჰყურებდა.

— გოგო, რა ქენი, მიაწიე იმ ქალს ფული? —ჰკითხა მებუტკე მოხუცმა.

— ვერა, ბაბუა, ვერა... მე სასიკვდილემ... რა ვქნა ახლა, როგორ მოვიქცე?—შესჩივლა მელიკომ

— როგორ მოიქცე და ნახევარი ფული მე მომეცი... მოიტა აქა...

— შენ რათა?

— როგორ თუ რათა? აკი მე გაშოვნინე ის ფულები! ხურდა რომ დროზე მომეცა, ხომ ვერ შეირჩენდი... მოიტა აქა!—ამ სიტყვებით მოხუცი დახლზე გადმოვიდა და მელიკოსკენ წამოიწია.

— უი, ღმერთო მომკალი! რა სთქვი ეს ბაბუა? ცოდვა არაა ის ქალი? ესაა მადლი?—მელიკო საშინელი ნაწყენი იყო. გაკვირვებული უცქეროდა მოხუცს.

— რის ცოდვა? ის სულელია ვიცხაა, თვარა მანეთიანს შენ მოგცემდა დასახურდავებლად?

— სულელი კი არა, მშვენიერი გულის იყო საწყალი... იმისთანა მშვიდობიანი სახე ჰქონდა, რომ...

— ფული მოიტა აქა, ფული!—გააწყვეტინა მოხუცმა.

პირველად მელიკოს ეგონა, ხუმრობსო, მაგრამ ახლა კი აზრი იცვალა. უკან დაიხია და გასაქცევად დაემზადა.

— დედა არ მოიკვდეს, არ მოგცე... ჯერ დედას ვეტყვი და, როგორც ის მირჩევს, ისე მოვიქცევი...

— როგორ თუ არ მომცემ!—შეუყვირა და დასაჭერად წაეპოტინა.

მელიკო კი ადგილიდან ელვასავით მოწყდა და ერთ წამს გაშორდა იქაურობას.

— არ გინდა აქ მოსვლა?!—უყვიროდა მოხუცი, — თუ კაცი ვყოფილვარ, ფეხს არ დაგადგმევინებ აქ დღეიდან... ერთი კაპიკისას არას გაგაყიდვინებ!.. ვნახოთ, ვის დააკლდება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ეერჩი, ბაბუა, ერთი საწყალი ბალანაია, — ბალ-ლებით უთხრა მოხუცს ერთმა მელიკოს ამხანაგმა. მელიკოს სხვებიც დაემოწმნენ.

— დაიკარგეთ აქედან, თქვე არამზადებო, თქვენა! — შეუყვირა იმათაც მოხუცმა და ყველანი მიფანტ-მოფანტა.

II

მელიკო მიფრინავს, მიწაზე ფეხს არ აკარებს, თან უკან იხედება. ფული მაგრა ჩაუბღუჯავს. გადიცანცარა ნამით ნასხური მინდორი... მდინარეს მიადგა... მოდუდუნეს თვალი შეავლო... ჩრდილოეთიდან მომდინარე სამხრეთისკენ მიეღურტულებდა... ვერცხლის ზურგზე ალაგ ალაგ ნისლის ლეჩაქი ეფარა... ერთის ნაპირით მთის უბეში შეწოლილიყო...

მელიკოს მის სათვალიერებლად არ სცალოდა. მსწრაფლ მიირბინა ხიდის მაგიერ ზედ გადადებულ ორ გრძელ ხესთან .. ერთ წუთში გადირბინა, მოაჯირისათვის ხელიც არ მოუვლია.

კორტოხზედ წამოსკუპებულ თავის სახლსაც თვალი მოჰკრა.

შეუმჩნევლად შესრიალდა ფერდობზე გადაცვარულ ბუჩქნარში... დაკლაკნილი ბილიკი მონახა. ცდილობს ნამით დაყურსული ჩირგვის ტოტები არ შეარხიოს... კურდღელივით მიცანცალობს...

მალი-მალ გადმოჰხედავს მწვანეში ჩანთქმულ ქედიანს. ვერავინ დაინახა. გული დაიიმედა, აწი მოხუცი ველარ დამეწევაო.

მუჭა გაშალა, ფულებს აკვირდება... მოაგონდა დედაბრის ლმობიერი სახე, სათნო შესახედ ობა... სირცხვილმა დასწვა. „ალბად ბოროტ ბავშვად მთვლისო“ გაიფიქრა და დაღვრემილი მიდის.

მოაგონდა მოხუცი მებუდკე. დაწკურული, ახმახი... ზიზღით აივსო... „წაწყმენდილი, მისი ბრალია, მისი ეს“ გაიფიქრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ დროს ერთმა აზრმაც გაურბინა—იქნება-დედას-კიდეც იამოს ამ ფულების მიტანა და საქციელი მომიწონოსო. ნემსად დაესო ეს აზრი გულში. ფიცხლავ მოიშორა...

უკვე გორაკის წვერშია. მზის სხივებმა ჩაკოცნეს. ცვარში დასველებულ ტანსაცმელს უშრობენ. „მატარებელი აქეთ წავიდა“ გაიფიქრა და მოწყენილმა აღმოსავლეთს გაჰხედა...

იქ მზე კისკასებდა... ცის ლაჟვარდში ოქროს სამოსელს ჰქსოვდა, მაქოს ატრიალებდა, ვით ფეიქარი... სამოსელი ელვის სიჩქარით იქსოვებოდა და ქვეყანას ეფინებოდა...

მელიკოს კი იმ დედაბრის სახე არ შორდებოდა... მოწყენილმა თვალი აარიდა ციურ ფეიქარს.

— შვილო, რად გაჩერებულხარ მანდ? სად იხედები?— მოაძახა დედამ. მელიკო შეკრთა, პირი იბრუნა. დედა ქოხთან დაინახა: დერეფანი დაეგავა, პატარა ამწვანებულ ეზოს ათვალიერებდა. დამკლავებულ-დაკარწახებული იყო, ფეხ-შიშველი იდგა.

— დედიკო!..—მელიკოს ხმა აუკანკალდა.

დედამ ცოცხი დააგდო, შვილისკენ გამოექანა...

— რა იყო, შვილო, რა მოგივიდა?—თავზე ხელს უსვამს, სახეზედ უცქერის. მელიკო კი სლოკინებს, სიტყვა ვერ უთქვამს..

— სთქვი, შვილო, რა მოგივიდა?..

ზლუქუნით მოუყვა ყველაფერს, რაც იმ დილას გადახდა. დედა გულ-დასმით უსმენდა.

— მეტი ხომ არაფერი იყო?—ჰკითხა დასრულებისას.

— არა

— იქნება რამე დამიმალე?

— არა, მამაჩემი არ წამიწყდეს...

მელიკომ ცოტათი ტირილს უკლო. დედას უცქერის ქურდულად—აბა, რა გამოეხატება სახეზეო. წელანდელი ეპვი გულში უტრიალებს, ფიქრობს: იქნებ კიდეც მომიწონოს დედამ ესაო—და გულში თითქო ვილაც ჰკბენსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთი შეგეწევა, შვილო, რომ სხვის ნაშრომს ასე უყურებ,—უთხრა ბოლოს დედამ,—რაკი სხვის სიგლახეს და წახდენას არ ფიქრობ, ღმერთი არც შენს საქმეს წაახდენს... გიწინამძღვრებს, ობლობას გაგიადვილებს...

მელიკოს გული განათლდა, ეჭვები ჩაიკლა გულში, მზათაა დედას მოეხვიოს, ჩაკოცნოს...

— მომეცი, შვილო, აბა, ის ფული!..

მელიკომ მისცა. დედამ ხელის გულზე დაილაგა და თვლა დაუწყო.

— სამი შაღრი ჩვენია, მაშ, ჩვიდმეტი კი იმ ქალის... იცნობ, შვილო, რომ ნახო?

— როგორ არა, დედა...

— მაშ, კარგი. ყოველ მატარებლის მოსვლაზე თან გაიტანე ეს ფული და იქნება მართლაც იცნო ის ადამიანი და დაუბრუნე... თუ ვერ ნახავ, შემდეგ ვისმე გლახას ვაჩუქოთ, ასე აჯობებს, მადლია...

— კი დედა, კი... უთუოდ ვნახავ იმ ქალს... მანამდეც მინახავს. —ეუბნება გახარებული მელიკო და ფიქრობს: ნეტავი ერთი იმ ქალს დაანახვა, თუ რას ვფიქრობთ ახლა მე და დედა... მაშინ კი ცუდ ბავშვად არ ჩამთვლის, ჰნახავს, რა კეთილი დედა მყავსო...

- მაგრამ იცი, შვილო, რას გეტყვი? დღეიდან არასოდეს ასე არ მოიქცე... დასახურდავებელი ფული არავის გამოართვა, თორემ ასე მოგივა, – დაარიგა დედამ.

—დედა, ის მებუდკე მოხუცი?—შეეკითხა ბოლოს მელიკო.

— ნუ გეშინია, შვილო, გეხუმრებოდა ალბად.

საღამოზე მელიკო გულ-დამშვიდებით მუშაობდა დედასთან ერთად ბოსტანში. გულში დარწმუნებული იყო, რომ ხვალ თუ არა, ზეგ მაინც იმ დედაბერს ჰნახავდა და ფულს დაუბრუნებდა.

ვ. მალაქიაშვილი.

(დასასრული იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილის გამოტოვება.

(უძღვნი ჩემს ძვირფასს მასწავლებელს ალ. მ—ძეს).

ზაზაფხული იდგა. მოწმენდილ ცაზე მზე ამობრწყინებულიყო და უხვად ჰფანტავდა ცხოველ-მყოფელ სხივებს. ხმელეთს გადაეძრო თოვლის საბანი და მწვანედ გადაქარგულიყო. ნიავი ისე ჰქროდა მთა-ბარად, ისე სათუთად ევლებოდა კვირტ-გამოღებულ ხეებს, თითქოს მეგობარი ეალერსებოდეს სნეულებისაგან განკურნებულ მეგობარსაო. ნაკადულები მალხაზად მოსჩქეფდა კორდიდან—კორდზე და ვერცხლის ცვრებით ეფრქვეოდა ია-ენძელებს, რომელიც ბრჭყვიალა ღილებივით გამოსხმოდა ველ-მინდვრებს. ფრთოსნების ჟივილ-ხივილს საზღვარი არა ჰქონდა. რიგი ბუჩქებზე შეხუნზლულიყო, რიგი წითლადა და თეთრად გადაპენტილ ატმის ტოტებს მოჰფენოდა. არც ადამიანი ჩამორჩენოდა ბუნების მეჯლისს და გაზაფხულის ფერადობას წრფელის ღიმილით ესალამებოდა.

უფრო მეტი სიცოცხლე ეტყობოდა „საბურთალოს,“ რომელზედაც ხანგრძლივ დასვენებისთვის გამოფენილიყვნენ გიმნაზიის მოწაფენი. სიცილი, კისკისი შეერთებოდა სირთა სტვენას და ზარივით წკრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგგან ბურთაობა გაეჩაღებინათ, ზოგგან „ათურმა,“ ზოგგანაც სირბილში გაჯიბრებულიყვნენ.

კოპწია სერზე გადმომდგარიყვნენ მომღერალნი და მგოსანთა ლექსებს საუკეთოოდ აკრიმანჭულებდნენ.

მათგან მოშორებით გულ-აღმა მწოლი მეოცნებენი შეჰყურებდნენ ლურჯად მოკამკამე ცასა. ხანაც თვალს მიაპყრობდნენ ცამდე აზიდულ, ყინულის ვარაყებით შემკობილ მყინვარსა და დიდხანს რჩებოდნენ გალურსულნი.

ვინ იცის, რას ოცნებოდნენ! ჭაბუკის გული ხომ უძირო ზღვა არის!

ერთის კლასის მოწაფენი დაეძებდნენ ალისფერ ენძელასა. ამ დროს კორდიდან დაეშვნენ და გვერდით ჩამოურბინეს ბიჭებმა, რომელთაც ხელში იის კონები ეჭირათ. ხსენებულ ჯგუფის ყურადღება მიიპყრეს გაცრეცილ იებმა.

— ვიშ, რა მალე მოსულა ია! — წამოიძახეს ერთხმად და შემოეხვივნენ იის პატრონებს.

— სად დაჰკრიფეთ?

— შორსაა თუ ახლო?

— ბევრია მოსული?— ჰკითხავდა თვითეული რამდენჯერმე.

აღმოჩნდა, რომ ია ბალახივითაა მოფენილი „კუს ტბის“ მიდამოებზე.

— ოჰ, რა კარგი იქნება, იის კონებით რომ მივიდეთ შინა, ყველას არ გავაკვირვებთ! ჯერ ხომ ყვავილის მაღაზიებშიაც კი არა ჰყიდიან,—წარმოსთქვა ერთმა.

— ჰაი, ჰაი, რომ კარგი იქნება—დაუდასტურეს ანარჩენთ.

აი, ამოდენა ბიჭი გავხდი და ერთხელ არ დამიკრეფია ჩემის ხელით ყვავილები... ვერ იქნა, ვერ მოვშორდი ქვითმოკირწყლულ ქუჩებსა! --დაიწყო ჩივილი მეორემ.

— ყველა ყველა და მალე სწავლად რომ მიგვიწვევენ, ის როგორიღაა,—მოაგონა მესამემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილის გახსენება და მოწაფეთა დანაღვლიანებულ-ყოფთი იყო. მოდი და ამ ტურფა მინდვრიდან კლასში დაბრუნ-დიო, — გაიფიქრა ყველამ.

მოზარმაცე კოტემ ალლო აუღო ამხანაგების ფიქრებსა და მომხიბლავად წარმოსთქვა: — ბიჭებო, რაც გახდეს გახდეს, მოდი, ლათინურ გაკვეთილს ნუ დავესწრებით.

თუმცა ყველას ესიამოვნა კოტეს წინადადება, მაგრამ ხმა მაინც არავის ამოუღია. ყოყმანში იყვნენ. ერთი მხრით, ანდამატივით იზიდავდა საოცნებო წალკოტად გადაფენილი ტბის კიდენი და მეორე მხრით ეკრძალებოდათ გაკვეთილის გამოტოვება. იმდენად სასჯელის შიში არ აფიქრიანებდათ, რამდენადაც იმის წარმოდგენა, თუ რაზომად გაანაწყენებდნენ საყვარელ მასწავლებელსა.

კოტემ ხელმეორედ გაუმეორა წინადადება.

— ძამია, ლაღობა და ნავარდი კარგია, მაგრამ როგორ გამოუშვათ ლათინური? მეხუთე გაკვეთილიც ხომ იმისი გვაქს — რუსული ენა. რა პირით უნდა შევხედოთ? ხომ სირცხვილით დავიწვით! მერე როგორ უყვარვართ და რანაირად ზრუნავს, რომ სწავლაში არავინ ჩამოგვრჩეს, — წარმოსთქვა სეფემ და ამხანაგებს გადაჰხედა — აბა, რას იტყვიანო.

— არ გინდათ? მიბრძანდით და იზეპირეთ გაკვეთილი, ხელს არ შეგიშლით, — მიაძახა გაწიწმატებით კოტემ და გვერდზე გადგა.

— არა, სწორედ ილბალია, მე და ჩემმა ღმერთმა! ე ლათინური ენის მასწავლებლობა რალა მაგას შეახვედრეს? ჭირივითა მძულს ეგ საგანი, მაგრამ ისე მეხათრება მასწავლებლისა, რომ იძულებული ვარ ვისწავლო.

— რა მოვიგონე, რა მოვიგონე! — წამოიძახა თვალებ-გაბრწყინვებულმა ნიკომ.

— აბა, აბა, რა მოიგონე, გაგვაგებინე! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— მოდი ამ გაკვეთილს მოვცდეთ, მეხუთე გაკვეთილისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის შევადგინოთ წერილი ამ შინაარსისა: ძალიან გვაუკვირ-ხარ, მასწავლებელო, ძალიან, მაგრამ ისე გაგვიტაცა ყვავი-ლებმა, რომ შევცდით და მოვცდით მეცადინეობას. გთხოვთ, მიიღოთ ჩვენგან წრფელის გულით მოძღვნილი იის კონა და ჩვენი დანაშაულიც გვაპატიოთ.

— მერე წერილი რანაირად გადავცეთ?

— იის კონაში ჩავდოთ.

ყველამ მოიწონა ნიკოს მოგონილი და წინდაწინვე შე-უდგენენ უსტარის შედგენასა.

ამასობაში სასწავლოდ მომწოდებელი ზარიც დაირეკა. ყველა ერიამულით გაემართა სკოლისაკენ, გარდა ხსენებულ ჩარფუზანებისა.

ყმაწვილები არ მოსტყუვდნენ. მართლაც ტბის პირას ამოღერილიყო იები და მორცხვად ელამუნებოდა მზის სხი-ვებსა.

შენი გულისა, შენი გულისა! რა რიგად ბიბინებენ ქოჩორ გადავარცხნილები! — წამოიძახეს და იწყეს სათუთად მოკრება იისა.

— რა ლამაზია!

— რა ნაზია!

— რა სურნელოვანი!

გაისმოდა აღტაცებით.

იები თუმცა გრძნობდნენ, რომ გაფუებულ დედამიწის დაშორებით სიცოცხლე უმოკლდებოდათ, მაგრამ, რა ჰხედავდ-ნენ პატარეების სიხარულს, თვითონაც ილიმებოდნენ, თითქოს ამბობდნენ: რა უყოთ, რომ მოკლე დღისანი ვარ, სამაგიე-როდ, გაზაფხულის სხივებს ხომ პირველად ჩვენ მივეგებენით. ზამთრისაგან გაძრცვნილ ბუნებას ხომ ჩვენ მივეცით ელ-ფერი, ჩვენ მოვქარგეთ, ჩვენ გავაკეკლუცეთ. ყმაწვილებს ხომ ჩვენ აუჩქროლეთ ხალისიანი გული, ჩვენ ვახარეთ ახალ დრო-ჟამის დადგომაო.

მოწაფენი რომ პეპელებივით დაჰფარფატებდნენ ყვავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს — ჭალის პირიდან მოისმა სალამურის სტვენა. ყურები სცქვიტეს. მელოდია უფრო გაძლიერდა, გამრავალ-ფერადდა, ჰანგთა ნაკადულებად გაიბნა ფირუზ ეთერში; არა ჰგავდა ლაღ, უდარდელ გედის სიმღერას, არა ჰგავდა ცქვიტს ნიავს, რომელიც ჩამოუქროლებს მოლივლივე ტბის ტალღებს, აათამაშებს ზილფებს, მოჰბერს მიჯრით მიწყობილ ლერწმებს, ააშრიალებს და წკრიალა ჰიმნად დაადნება სმენასა. — არა! კაეშნიანი იყო მისი სტვენა. პირველ ბგერის უმალ, სევდიანად აგაჟრჟოლებდა ადამიანს, ისე, ვით ჟრჟოლავს ხოლმე ოდნავ ნიავის აფუჩუნებაზე ტოტებ-დახრილი მტირალა ტირიფი.

ბავშვები გაემართნენ იქით, საიდანაც ისმოდა სტვენა. ბუჩქის ძირას მოლზე წამომჯდარიყო სალამურის დამკვრელი პატარა მწყემსი და გვერდით ესხდნენ სწორები.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, თქვენი!

— გაგიმარჯოთ, იცოცხლეთ! — გამოეხმაურნენ მწყემსები.

— სადაური ხართ, ძმობილნო? — შეეკითხა ვასილი.

— წყნეთელები!

— ე საქონელი თქვენია?

მწყემსებმა ღიმილით ერთმანეთს გადაჰხედეს.

— რას იცინით, მართლა გეკითხებით.

— ეე, ქალაქელებო, ჩვენ ვინ მოგვაოხრა ამოდენა საქონელი, მოჯამაგირეებათა ვართ.

— შკოლელები ხართ, არა? შეეკითხნენ ახლა მწყემსები.

— ჰო, მოსწავლენი.

— ამ სიშორეზედ რად წამოსულხართ მაგდონა ხალხი?

— იის დასაკრებად.

მწყემსებმა კიდევ ჩაიცინეს.

— ნეტავი თქვენა, წიგნებსა სწავლობთ! — შეჰნატრა სალამურის დამკვრელმა და ამოიოხრა.

— როგორ თუ ნეტავი ჩვენა!? თუ კი გსურთ სწავლა, ვინლა გიშლით ხელს?

— ეე, დალოცვილო, ისე ამბობ, თითქოს თქვენსავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდრები ვიყოთ. ვინ მიმიღებს სკოლაში, ან საღამოობამდე
დრო, მთელი ოჯახი შესანახად გამხდომია.

— განა მამა არა გყავს?

— არა.

— მაშ, მარტო შენ როგორ ინახავ ოჯახსა?

— ვაი იმ შენახვას! სიმშილისაგან კვერცხში ვწვივით. ე
ზამთარმა ხომ ილაჯი გა ვიწყვიტა. ი ყინვაში მთლად დედი-
შობილა ვიმყოფებოდით. მართლაც კონკის ძველებით იყო
აჭრელებული. ფეხებზე ხომ ქალმები მთლად შემოსცვეთოდა.

— საწყალი ბიჭი! — გაიფიქრეს ბავშვებმა, თან ქურდუ-
ლად დაიხედეს თავიანთ სამოსზე, თითქოს სირცხვილი იგრძ-
ნეს, რომ ისე კოხტად იყვნენ გამოწყობილნი. რამდენსამე
წუთს შემდეგ, გამოემშვიდობნენ მწყემსებს და გაემართნენ
სკოლისკენ.

აივანზე რომ მოექცნენ, ჩუმ-ჩუმად შევიდნენ კლასში,
რომ მასწავლებელს რომელისამე მათგანისათვის ცალკე არ
მოესწრო.

ზარიც დაირეკა და მასწავლებელი გაჯავრებული შევიდა
კლასში.

მოწაფენი გაიტურნენ, აბუზულ წიწილებივით ჩაღუნეს
თავი.

— არა, ერთი მიბძანეთ, ვაჟ-ბატონებო, სადა ბძანდებო-
დით?! — მიჰმართა მასწავლებელმა წყრომით, — აიცრუეთ, აი-
ცრუეთ გული სწავლაზე განა? თქვენი საცოდავი მშობლები
იჭირებენ ცხოვრებას, ბგზავნიან სკოლაში, რომ რამე შეი-
სწავლოთ, ცხოვრების ავ-კარგი გაიგოთ და თქვენ-კი ეულე-
ბივით ღელე-ყურეს ედებით. არც-კი გრცხვენიანთ! თქვენის
თანა საძაგლებს სხვა არა გაასწორებს რა, ვიდრე სასწავლებ-
ლიდან პანღურს არ ამოგკრავენ.

ისედაც ფრთა-ჩამოშვებულნი მოწაფენი გაცბნენ, გაი-
ლურსნენ, მასწავლებელი-კი განაგრძობდა გაკიცხვა-გაკილვას.

ვერავინა ჰბედავდა უსტარის გადაცემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის ჭოჭმანის შემდეგ, ნიკომ შეასრულა ძნელი საქმე. მასწავლებელმა დაჰხედა თუ არა იასა, დააპირა დაეტატანებინა ახლა მისთვის, მაგრამ შეამჩნია მოკეცილი ქაღალდი, აიღო და დაიწყო კითხვა. მასწავლებელს თანდათან შუბლი გაეხსნა, გულის წყრომა დაუცხრა, ისედაც სანდომიან სახეზე ღიმილი შეუთამაშდა და მიჰმართა:

მართალია, ბავშვებო, მასწავლებლის დაუკითხავად, თავნებად გაკვეთილის გამოტოვება დანაშაულია, მაგრამ მიპატიებია, ონავრებო, გულწრფელობისა ვის, მხოლოდ იმ პირობითაკი, რომ შემდეგში აღარ გამეორდეს ამისთანები. აღუთქვა, თუ რიგიანად მოიქცევით და ისწავლით, დროგამოშვებით თვითონ მე წაგიყვანთ ხოლმე ქალაქ გარედ მდებარე მიდამოების დასათვალიერებლადაო. პირველ სეირნობის დროც დაუნიშნა.

— უჰ, შენი ჭირიმე, მასწავლებელო, შენი! — ერთხმად წამოიძახეს ყმაწვილებმა, რომელთაც სულ გადაავიწყა დანაშაული აღმზრდელის მოსიყვარულეობამა.

— მართლა, — წამოიძახა ვასომ: — ღარიბ მწყემსს ხომ კიდევა ვნახავთ, როცა სასეირნოდ წავალთ, დედასა ვთხოვ ერთი ჩემი ხალათი გამატანოს იმისთვისა.

— მე ქედს წაულებ!

— მე — ქამარს!

— მე წიგნსა!

— მე — პურსა!

გაისმოდა აქედ-იქიდან.

მასწავლებელი უყურებდა ცქრიალა თვალებში და განუსაზღვრელ სიამოვნებას ეძლეოდა.

დ. თურდოსპირელი.

მთის წყარო.

ოხტის
წყარო
მაღალ მთის,
თრთის
საშეკრო...
— ვიშ, ვიშ, ვიშ!!.
ის
ჭალაკებს
ჩაუდის,
მირაკრაკებს:
კის, კის, კის!!...
კდემა-მოსილს,
ნაზად შლილს,
ველის ყვავილს
უტკბობს ძილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლთა მარგალიტ მძივებს
ვერცხლებრ მოაკამკამებს;
შესტრფის გიჟმაჟ მზის სხივებს,
ცხოველ ვნებით ციმციმებს.
ჭევლთა რხევით,
სრიალით,
ცვართა ფრქვევით,
ციალით,
ხტის,
რბის
თავ-ქვე ტრიალით,
მღერის,
ჟღერის
წკრიალით.
მიყვარს ეს ხმა
რაკრაკის,
ქების შესხმა
მუსიკის...
მაშ, იხარეთ...
—კის, კის, კის!!
ინეტარეთ...
—ვიშ, ვიშ, ვიშ!!...

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის სიმდიდრე.



ად შოულობენ მარგალიტს, მარ-
ჯანს, სადაფს და ღრუბელს?

გაგიგონიათ რამე ალბად საუ-
ცხოვო ბრჭყვიალა მარგალიტისა
და მშვენიერ წითელ მარჯნისა,
რომლითაც სხვა და სხვა ძვირ-
ფას სამკაულს ამზადებენ: მძივს,
ყელსაბამს, საყურეებს, ბალთებს და სხვ... შეიძლება ზოგიერთ
თქვენგანს კიდეც ენახოს მარგალიტ-მარჯანი. თუ მარგალიტ-
მარჯანი არ გინახავთ, სადაფის ნივთებს მაინც ნახავდით, აი,
თუნდა სადაფის ფოლაქებს (ღილებს). ფოლაქებს აკეთებენ უბ-
რალო და იაფ-ფასიან სადაფისას, მაგრამ მაინც ეგ ფოლაქები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ ლამაზია და უფრო კარგის ხარისხის სადაფი ზღვის მშვენიერი სანახავია. სინათლეზე ელვარებს სხვა და სხვა ფრად: წითლად, ცისფრად, მწვანედ და სხვა. ასეთი სადაფისას აკეთებენ სხვა და სხვა ძვირფას ნივთს და მოსართველ სამკაულს.

სკოლაში ან სახლში ალბად გინახავთ ღრუბელიც. ის კი სრულიად ულაზათო, უშნო, დაჩვრეტილი და დანაოჭებულია, მაგრამ სასარგებლო ნივთია.

ახლა ვიკითხოთ, სად პოულობენ მარგალიტს, სადაფს, მარჯანს და ღრუბელს?

სადა და ზღვაში.

დიდს სიმდიდრეს აძლევს ზღვა ადამიანს.

ადამიანები მრავლად სცხოვრობენ ზღვის ნაპირებად და სარჩო-საბადებელს იმითი შოულობენ, რომ ზღვაში თევზს იჭერენ, ჰხოცვენ ვეშაპებს, ზღვის ძაღლებს, იჭერენ და ჰყიდიან ლოკოკინებს, ზღვის კიბოებს, იღებენ ზღვიდან მარილს და სხვა და სხვა.—იგივე ზღვა აძლევს ადამიანს საუცხოვო მარგალიტს, წითელ მარჯანს, სადაფს და სასარგებლო ღრუბელს, რომელთაც ადამიანი ასე აფასებს და თავ-გამოდებით დაეძებს.

მაგრამ საიდან და როგორ ჩნდებიან ისინი ზღვაში და როგორ იღებენ იქიდან? აი ამაზედ ვიბაასოთ ქვემოდ.

რა არის მარგალიტი და სადაფი?

ბევრი სხვა და სხვა ცხოველია ზღვაში. არის იქ პატარა ცხოველები, ისეთი პატარა, რომ იმათი დანახვა შეიძლება მხოლოდ გამადიდებელ შუშით ანუ მიკროსკოპით. არიან ვეებერთელა ონავარი თევზებიც და საშინლად დიდი ვეშაპები, სიგრძით 17 საჟნამდის. მაგრამ განსაკუთრებით ბევრია ზღვაში ისეთი ცხოველები, რომელთაც სხეული დაფარული აქვთ ზუჩილით (ხოჭოთი). ალბად გინახავთ უბრალო მდინარის ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის ხამანწაკი. ამ ცხოველის ხამანწაკი ორ თითქმის ერთ-ერთ სწორ ნაწილებისგან შესდგება და, სურვილისამებრ, ცხოველს შეუძლიან ისე მაგრად დახუროს ხამანწკის ორივე ნახევარი, რომ იმის გახსნა გაგიჭირდებათ. გინახავთ ალბათ ლოკოკინაც თავის მიხვეულ-მოხვეულ ხოჭოთი. ლოკოკინა ჩვენში სხვა და სხვა ჯიშისაა: ზოგი წყალში სცხოვრობს, ზოგი კი ხმელეთზედ, ბალახებსა და ჩირგვებში. ლოკოკინას სხეული რბილი და ლორწოიანი აქვს, ამიტომ ასეთ ცხოველებს ეძახიან რბილ კანიან, ანუ ლორწოიან ცხოველებს.

ხოჭო—ეს მხოლოდ სახლია ლოკოკინასი და მასალას ამ სახლისთვის თვითონ თავის სხეულში ამზადებს. ეს ლორწოიანი ცხოველები იკეთებენ ასეთ სახლებს იმიტომ, რომ თავი დაიფარონ მტრებისაგან; გაიგებენ თუ არა მტრის მოახლოებას, ისე მაგრად ჩაიკეტებიან თავიანთ სახლებში, რომ შიში არაფრისა აქვთ. ასეთი რბილ-კანიანი ცხოველები, რომელთა სხეული დაფარულია ხოჭოთი, სცხოვრობენ ზღვაშიც და იქ იმათი რიცხვი გაცილებით მეტია; ამასთანვე ბევრგვარის სხვა და სხვა ჯიშისაცაა. ლოკოკინას ხოჭო თხელია და ადვილად გასატეხი. ზღვის ლორწოიან ცხოველებს კი ძალიან ხშირად ხოჭო მაგარი აქვთ, როგორც ფაიფური და თანაც ათასნაირის ფერისა. ხშირად იმათი ხოჭო მოხატულ-მოვარაყებულია სხვა და სხვა ფერის ზოლებით და მოცულია გაშვერილ-გამოშვერილ ხორკლებით. სიდიდითაც განირჩევიან ზღვის ნიჟარები: არიან როგორც პატარა, ისე დიდებიც — სიგრძით არა ნაკლებ ორის არშინისა. აი, ერთ-ერთი ამ ლორწოიან ცხოველებში ამზადებს იმ მრგალიტს და სადაფს, რომელთაც ადამიანი ზღვაში პოულობს. ამ ცხოველს ეძახიან მარგალიტის ნიჟარას. მაგრამ როგორ შეუძლია ამ პატარა ცხოველს გააკეთოს ისეთი მშვენიერი სამკაული, როგორიც მარგალიტია? როგორ აკეთებს და სად შოულობს მასალას მარგალიტის მოსამზადებლად? რომ ყველაფერი გასაგები იყოს, ჯერ ვნახოთ, რა აგებულებისაა თვით მარგალიტის ნიჟარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისათვის შეგიძლიათ აიღოთ უბრალო ნიჟარა, იმიტომ, რომ მარგალიტის ნიჟარასაც ასეთივე აგებულება აქვს.

გახსენით ნიჟარა და დაინახავთ, რომ შიგნით აკრავს ორი ნაფლეთი, სქელის ტყავის მზგავსი; ამ ტყავს ჰქვიან მანტია (მაზარა). მანტიის ნაფლეთებს შუა ოთხი ლაყუჩი სძევს; ორ-ორი თითო მხარეს. ლაყუჩებით ნიჟარა სუნთქავს. სხეულის ბოლოზედ მოსჩანს გამოშვერილი სამკუთხედი და ერთად ერთი ფეხი ნიჟარასი. ამ ცხოველს შეუძლია გამოჰყოს გარედ თავისი ფეხი და ერთ ადგილიდან მეორეზედ გადაცოცდეს; შეუძლია აგრედვე ფეხი სრულიად დამალოს. განცალკევებული თავი დათვალები ამ ცხოველს არა აქვს, მაგრამ აქვს სხეულის ბოლოზედ ფეხთან პირი; შიგ სხეულში-კი — კუჭი, გული და ნაწლევები.

სხეული მდინარის ნიჟარასი, ამოღებულია ნიჟარიდან, შუაზედ ფეხი (ზემოდ) და ორი წყვილი ლაყუჩებისა (ქვემოდ); მარჯვნივ და მარცხნივ გადაწეულია მანტიის ნაფლეთები.

როდესაც ცხოველი იზრდება, თან ეზრდება მანტია და ნიჟარაც, მაგრამ ნიჟარა დიდად განირჩევა თვით ცხოველის სხეულისაგან. თუ ცხოველი მოკვდა, სხეული დალპება, გაიხრწნება და გაქრება, ხოლო ნიჟარა რჩება უცვლელად. ეს იმიტომ, რომ ნიჟარა შესდგება არა ხორცისაგან, როგორც მთელი სხეული ამ პატარა ცხოველისა, არამედ კირისაგან. ნიჟარა კირის ხალთაა, რომელიც ცხოველის სხეულს გარედან აკრავს. როგორ იზრდება ეს კირის ხალთა? საქმე ის არის, რომ ეს ცხოველი თვითონ აკეთებს თავის ნიჟარას და, როცა იზრდება, თან და თან აფართოებს თავის სადგომსაც. ამ პატარა ცხოველს თავისავე სისხლში მოეპოება კირი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და თანობით ჟონავს სხეულიდან და მანტიის გროვდება. ცხოველთან ერთად იზრდება მანტიაც და იმის გარშემო ნაჟვანი კირი ადიდებს და აფართოებს თვით ნიჟარასაც.



მარგალიტის ნიჟარები. მარცხნივ, ქვემოდ, მოსჩანს ნიჟარა მარგალიტით.

ამ ნაირად, ნიჟარა კირის ნაჟვანია, ისეთივე კირია, რომლისაგანაც შესდგება უბრალო კირის ქვა. რასაკვირველია, გინახავთ ასეთი ქვა იმითი აკეთებენ კიბეებს, ქვა ფენილებს ქუჩებში და სხვა. ასეთისავე კირის გან შესდგება მარმარილოცა და ცარციც. ყველა ეს უბრალო ქვებია. ბევრგან ასეთი ქვების გორებია. მარგალიტის ნიჟარაც კირისაგან არის შეზავებული, მხოლოდ უფრო მაგარი და სქელია, ვიდრე უბრალო ნიჟარა.

შენიშნავდით, რომ უბრალო ნიჟარა ჩვენის მდინარეებისა — შავია, ანუ მოშავო ზემოდან, ხოლო შიგნით თეთრია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლეზედ ცოტათი კიდეც ელვარებს სხვა და სხვა ფერად მარგალიტის ნიჟარაც გარედამ მოშავოა ან მომწვანო, ხორკ-ლიანი და დანაოჭებული, მაგრამ შიგნით კი სპეტაკია და სინათლეზედ მშვენივრად ელავს: ცის ფრად, წითლად და მწვანედ. აი, ეს ნიჟარას შიგნითა მოელვარე ნაწილი არის სადაფი. აქედან ცხადია, რომ უბრალო ნიჟარაც სადაფია, მაგრამ უბრალო ნიჟარაში სადაფი ცოტაა და ამიტომ ასეთი ნიჟარა ადვილად ტყდება; თანაც არც იმდენად ფერადოვანია; ამიტომ იმისას არც აკეთებენ სხვა და სხვა სამკაულს, მხოლოდ ზოგჯერ უფრო კარგის თვისების ნიჟარებს ხმარობენ ფოლაქებისათვის. მარგალიტის ნიჟარა გაცილებით დიდია უბრალო ნიჟარაზედ. რაც უნდა პატარა იყოს მარგალიტის ნიჟარა, მაინც 3—4 გოჯი იქნება სიგანით და უფრო დიდებს კი განი აქვს არა ნაკლებ 7 გოჯისა, სადაფი კი იმდენად სქელია მარგალიტის ნიჟარაში, რომ სხვა და სხვა დიდი და ლამაზი ნივთი გამოიჭრება ხოლმე.

ამ გვარად, სადაფიც კირისაგან შესდგება, ამ უბრალო იაფ ფასიან მასალისაგან, მაგრამ ამ მასალით პატარა ლორწოიან ცხოველს შეუძლია მოამზადოს მშვენიერი და ფერადოვანი სადაფი, ის სადაფი, რომლისათვისაც ადამიანები სიცოცხლეს არ ზოგავენ, ზღვის უფსკრულში ეშვებიან და იქიდან დიდის გაჭირვებით ამოაქვთ.

რად არის სადაფი ასე ლამაზი და რად განირჩევა ასე უბრალო საკირე ქვისაგან? ეს იმიტომ, რომ სადაფი შესდგება ძალიან თხელ კირის ზოდებისაგან, ფენებისაგან, რომელიც ერთმანეთზედ ისეა დალაგებული, როგორც წიგნში ფურცლები, მხოლოდ ძალიან მჭიდროდ-კი. ძალიან თხელი ფენი კი სინათლეზედ ყოველთვის აფერადებულია. გინახავთ, რასაკვირველია, საპნის ბუშტები? ცისარტყელასავით აფერადებულია, მაგრამ საპონ-წყალს კი ასეთი ფერი არა აქვს. საპნის ბუშტი იმიტომ არის ისე ლამაზი და ფერადოვანი, რომ ძალიან თხელი კანი აქვს და მზის სინათლე აფერადებს, აელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარებს ცისარტყელასავით. წყალზედ რომ ცოტა ნავთი მოასხათ, წყლის ზედა პირიც აფერადდება, ნავთი თავის თავად უფერულია, მაგრამ წყალზედ ეკვრის ძალიან თხლად და მაშინ სინათლეზედ ცისარტყელასავით ელვარებს. ზოგჯერ შეხვდებით, რომ წყალს მდინარეში ან გუბეში მოტივტივებული აქვს აფერადებული თხელადი, ეს მაშინ, როდესაც წყალზედ გაკრულია რაიმე თხელადი, მაგალითად, ზეთი, ნავთი ან მაზუთი და სხვა.

ნ. წულუნავა

(შემდეგი იქნება)





ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი-ნავთის ქარხანაში.

(სურათი ბაქოს მუშების ცხოვრებისა)

(სომხურით).

მქროლველი მუშები.

აიქეცით!.. გაიქეცით!.. თავი მოარიდეთ... კედელი იქცევა,—უცებ ერთხმად დაიგრიალა ბრბომ, მორევივით იწყო ღელვა და ერთმანეთის ჭყლეტით უფრო უკან დაიწია.

მოისმა ყრუ ჭექის ხმა, რომელიც ას ზარბაზანის სროლის ხმას უფრო ჰგვანდა. ერთ წუთში ყოველივე დაბნელდა და გაჰქრა წყვდიადში. ალი, კვამლი, ცეცხლი, მური და დაქცეულ კედლის მიწა—მტვერი ერთმანეთში აირია და დამალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაი, თავი!.. ვაი წელი!.. თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ... ვკვდები.—მოისმოდა ჯოჯოხეთივით ჩამობნელებულ წყვდიადში.

— ფეხები დამემტვრა... ვაი! ვაი!.. ოჰ, დავიხრჩე, ღმერთო... მიშველეთ, აქედან გამიყვანეთ, ველარასა ვხედავ,— ყვიროდნენ ახლა სხვა მხრიდან.

— ხელი... ხელი... ვაი... ვაი... ვაი... არ მომეკაროთ ხელი მეწვის... უჰ... უჰ...

ბრბოს დაავიწყდა სიცილი და ხუმრობა: ყველას სახეზე იხატებოდა უიმედობა და სასოწარკვეთილება... „სად არიან პირველ რიგის მქრობელი მუშები?“ ისმოდა მხოლოდ ხმა ხვეწნისა, კვნესისა, ძახილი შველისა... მაგრამ ვინ გაარჩევდა, სად ვის უჭირდა და რა უჭირდა?!.

ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა.

ივან გრიგორიჩის რისხვა და აღშფოთება განუსაზღვრელ ელდათ შეცვლილიყო, ერთ წუთს წინად იმის გააფთრებული სახე ახლა ჰხატავდა შინაგან შიშსა და თრთოლას. გაუნძრეველ ძეგლივით ერთ ალაგას გაშეშებულიყო და არ იცოდა, რა ექნა: უნდოდა წინ გაქცეულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგანაც შეუძლებელი იყო. კვამლი და მტვერი, არეული მურითა, ფერფლითა და ცეცხლის ალით, ამართულიყო მის წინ ერთ განუჭვრეტელ წყვდიადივით, თითქო საბედის-წერო, შავ-ბნელი რამ ზღუდეაო.

უცებ ყოველივე გამოირკვა და მის თვალ-წინ გადაიშალა საზარელი სანახაობა. აქეთ-იქით ეყარა ექვსი მუშის გვამი. რამდენიმე კიდევ ლანდებივით დარბოდნენ, ერთი ხომ დიდ, ანთებულ კვარსა ჰგავდა და შეშლილივით მიმოჰქროდა ძახილით:

— მიშველეთ... სომეხო ქრისტიანებო... მიშველეთ, შემიბრალეთ... ტანი მეწვის... ჩქარა... ჩქარა, მიწა დამაყარეთ... წყალი... წყალი... წყალი... უჰ!.. უჰ!.. ღმერთო, ვიწვი...

ეს კვარივით ანთებული ერთი მოხუცი კაცი იყო. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთიან ძონძებს წაჰკიდებოდა ცეცხლი და ჰხარშავდა ზიზღლად ცოცხალს ადამიანს, როგორც შუა-საუკუნეთა ინკვიზიციის ერთ-ერთს უბედურ მსხვერპლს.

ივან გრიგორიჩმა თვალი მოარიდა ამ საზარელ სურათს. იმის სათუთ ნერვებს არ შეეძლო აეტანა ამისთანა საშინელი სურათი. ბრბოში ბევრმა გული გაიმაგრა, გაიქცნენ და, ვინც უფრო ღონიერი იყო, წააქციეს ანთებული მოხუცი და მერე დაუწყეს აქეთ იქიდან მიწის დაყრა. ცოცხალი მკვდარივით დამარხეს საბრალო ერთად ერთი საშუალება ეს იყო მის ანთებულ ძონძების გასაქრობად.

— დავიწვი, მოვიხარშე... უჰ!.. უჰ!.. გმინავდა ყრუ ხმით საცოდავი მოხუცი მიწის ქვეშიდან. მისი სახე ისე დამახინჯებულიყო, რომ დამსწრეთაგან ბევრი ელდით და ზიზღით თვალებზედ ხელებს იფარავდა, არ დავინახოვო.

— უჰ. . ღმერთო, ჩქარა ამომართვი სული. . დამიხსენ ამ ტანჯვისაგან, ნუ მაწვალებ, — განაგრძობდა მოხუცი და ფრთხიალობდა მიწის ქვეშ,—მაგრამ ჩემი შვილი... სად არის ჩემი ვაჟი-შვილი?.. ცოლი... ვაჟები, ქალები... წყალი... უჰ, გული...

უკანასკნელ სიტყვების დროს, მოხუცის ხმა თანდა თან იცვლებოდა და სუსტდებოდა.

— აქა ვარ, აქ... – დაიძახა 18—20 წლის ჭაბუკმა, მარცხენა ხელით მარჯვენა ეჭირა, რომელზედაც დამწვარი ტყავი გადაჰყვლეფოდა და წითელი ხორცი გამოსჩენოდა.—ოჰ, გული მეწვის... უჰ... თუ ღმერთი გწამთ, მკლავს არ მოეკაროთ... მეწვის, მეთუთქება

— მოშორდი, საბრალოვ, ნუ მიხვალ მამასთან, შენ რომ დაგინახავს, მწუხარებისაგან მოკვდება, დაიძახეს ხალხიდან.

— ბეიბუთ... ბეიბუთ... მოდი, აქა ვარ... მოდი ჩემთან, ვკვდები... ოჰ, ოჰ... პირი მიშრება,—დაიძახა მოხუცმა და ცდილობდა ფეხზე დამდგარიყო.

რამდენსამე წუთის განმავლობაში მამა და შვილი ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცნობდნენ ერთმანეთს. მოხუცს თეთრი წვერი ალანძოდა და სახეზე მიჰკვროდა.

— ვაიმე, ეგ რა მოგვსლია, მამილო, — უთხრა შვილმა და შეშლილივით დაეცა მოფართხალე მოხუცს მუხლებზე.

ერთის წუთით მოხუცს დაავიწყდა თავის დამწვარ სხეულის ტკივილი და ორივე ხელით შვილს ყელზე მოეხვია.

ვიდრე მამა-შვილი ტირილით, გადახეულნი ეწაფებოდნენ სატკივრის ნალველს, რამდენსამე ნაბიჯს სიშორეზე იმათგან სხვა სანახაობა გადაიშალა.

თითქო ჯოჯოხეთის ხმებიაო, ისმოდა გულ-საკლავი მწუხარე კვნესა ექვს ზედი-ზედ დაყრილ მუშებისა. იმათი გმინვა არ ჰგავდა ადამიანის ხმებს, არამედ ყელ-გამოჭრილ პირუტყვთა უკანასკნელ ბღავილს და იმედ გადაწყვეტილ ღმუილს. ცოტა ხნის განმავლობაში ორმა უკვე სული განუტევა. სახე სრულიად დამახინჯებოდათ, თმების და წარბების კვალიც კი ალარ ემჩნეოდათ. რამდენიმე მუშა ცდილობდა იმათი გვამები ერთ მხარეზე მიეწიათ.

გვამებთან რამდენისამე ნაბიჯის დაშორებით ერთი ახალგაზრდა მუშა მიწაზე იჯდა, ხელებს მიწაში ურევდა და იძახოდა:

— ხელები... უჰ... უჰ... დამეწვა... მომეხარშა... უფალო, ღმერთო... მაგრამ არა... ის დაიწვა, მოკვდა... ვერ დავიხსენი... ბიძა-ჩემი...

ანთებულ თვალთაგან ცრემლები სცვიოდა, ხელები თვალებზე მიიდვა. დაისველა გადაყვლეფილი თითების წვერი. თითქოს უნდოდა მწარე ცრემლებით გული გაეგრილებინა.

— ოჰ, ყოვლის შემძლებოლო უფალო, იმის დიდებულო წინასწარმეტყველო მაჰმადო, ხომ ხედავთ თქვენის წმინდა თვალებით, საშინელის ტანჯვით გაბარებთ სულს, ლაჰ... ლაჰ, ილალლაჰ, მაჰმად რასულ ალლაჰ...

ესენი სპარსელი მუშები იყვნენ. ერთს თავი თითქმის შუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზე გახეთქოდა და სულსა ჰლევდა, ორს კი ფეხები და ტანი ვები დამტვრეოდა.

ბრბო ისე არევ-დარეულიყო, რომ ცეცხლს ყურადღებას არავინ აქცევდა და იგი ამ დროს ცოტ-ცოტათი ნელდებოდა.

ივან გრიგორიჩი ყვიროდა:

— თუ ღმერთი გწამთ... ცეცხლი, ცეცხლი... ნუ დაივწყებთ... დამწვრებს მერეც მოვაგროვებთ, მაგრამ ქარხანა, ჩემი ქარხანა ხელიდან მეცლება: დაიწვა, გათავდა, სახლი დამექცა, დავიღუპე, თუ ღმერთი გწამთ, შემიბრალეთ!

მაგრამ ივან გრიგორიჩის ყვირილს ყურადღებას ცოტანი აქცევდნენ: მუშაობდნენ იმისი მომიჯნავე ქარხნის პატრონების მუშები, რომლებსაც პატრონები ძალას ატანდნენ, თავი არ დაანებოთ, ვიდრე ალი არ ჩაქრებაო, ეშინოდათ, ცეცხლი ჩვენს ქარხანას არ მოედვასო.

— არ შეგვიძლიან ამ უბედურების უპატრონოდ და უმწეოდ მიტოვება და ცეცხლის ქრობა,—ყვიროდნენ ხალხში. —ერთ წუთში ამდენი ხალხი დაიღუპა, დაე, დაიღუპოს შენი ქარხანაც და შენც..

— დიაღ, დიაღ, შენა ხარ ამათი დაწვის მიზეზი: შენი წყეული ნავთის ქვაბები და ფეჩი, დროზე რომ გაგეკეთებინა, რაც საჭირო იყო, ეს უბედურება არ მოგვივიოდა არც შენ და არც ამ საბრალოებს.

გამვე, რომელიც ივან გრიგორიჩს აჩრდილივით უკან დასდევდა, მიუახლოვდა და უთხრა:

— ივან გრიგორიჩ, გირჩევთ მოერიდოთ ამ ავაზაკებს, ვინ იცის, რას ჩაიდენენ, ჩვენის მუშების ამხანაგები არიან, ახლა მხეცებად არიან გადაქცეულნი და, ღმერთმა იცის, რა მოუვათ ფიქრად.

მაგრამ ივან გრიგორიჩი არაფრად აგდებდა არც ბრბოს მუქარას და არც თავის გამგეს რჩევას. იმისი ჭკუა და აზრი მხოლოდ ცეცხლისკენ იყო მიპყრობილი და შიშით კანკალებდა, საცაა ცეცხლი ნავთით სავსე საწყობს მიატანს და იქ კი

ნავთით სავსე ათასი ბოჭკა იყო. მაგრამ ეს შიში უსაფუძვლო იყო. ცეცხლი ისეთი ძრიელი აღარ იყო, როგორც ამ ათის წუთის წინ. თითქოს ჯავრი უკვე ამოიყარა და ახლა უნდა დაისვენოსო.

ქარი ჩავარდნილიყო. ცეცხლის [illegible] გაშმაგებული აქეთ-იქით აღარ ედებოდა, წყნარად და სწორე სვეტად ადიოდა ზევით, აშუქებდა ხალხს, რომელიც საბრალო დამწვრების გარშემო ტრიალებდა და დახმარებას უწევდა.

ამ დროს უცებ ხალხს სირბილით მოუახლოვდა ერთი მაღალის ტანის კაცი. სახეზე სასოწარკვეთილება და განუსაზღვრელი შიში ემჩნეოდა. მუხლი ეკეცებოდა და სასიარულოდ ძლივს ემორჩილებოდა.

ეს ჩვენი ნაცნობი მუშა იყო

— გამიშვით... გამიშვით, ვნახო სად არიან... სად არიან: ჩემი შვილი... ჩემი ძმა... ღმერთო ჩემო... სად არიან... სად?..

ხალხმა გზა მისცა და მუშა სიჩქარით შევიდა ხალხში.

— სადა ხართ, სად? ხმა ამოიღეთ... სარგის... გასპარ... ოჰ, ეს ბეიბუთია, ჩემი ძმისწული?!.

— დიაღ! მე არა მიშავსრა, მაგრამ, საბრალო მამა-ჩემი, მოხუცი... მოკვდა... სანამ სული არ ამოუვიდა, თავის ოჯახს იგონებდა... უკანასკნელი იმის სიტყვა შენი სახელი იყო... „ნეტავი ჩემი ძმის მოსვლამდინ ვიცოცხლოო“, ამბობდა.

— სად არის, მიჩვენე იმისი გვამი? ან სად არის ჩემი ვაჟი, სად არის სარგისა?..

— თუ ღმერთი გწამს, არ მომეკარო, ჩემი ხელი იწვის... იკრუნჩხება... არ მოეკარო ჩემ ხელებს... უჰ.

ერთ წუთს მეჭრაბა გაქვავებული იდგა, უცრემლო, გაშშრალი თვალები როგორღაც მანქანასავით მისჩერებოდნენ ხან ძმას, ხან შვილს, გასპარას დამწვარ-დაკრუნჩხულ ხელებს, ხან თავის ძმისწულ ბეიბუთის ტყავ-გადაყვლეფილ მკლავს. მრისხანე ხალხის ყურადღება კი იმისკენ იყო მიპყრობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჭრაბას არა ჩვეულებრივი მდგომარეობა, იმისი ბანდარის ფერი სახე, მაღალი და ვიწრო ტანი, მარმარილოს ქანდაკებას ემსგავსებოდა და ამ გაუნძრეველ მსგავსებას მხოლოდ ცეცხლივით ანთებული თვალები არღვევდა. სამ მახვილს ერთ დროს გაეგმირა იმისი გული. ძმის სიკვდილი კი გულის სილრმემდის ჩასწდომოდა და სისხლი თავში ავარდნოდა.

უცებ ორივე ხელი თავში შემოიკრა და ჭაღარა თმებს იგლეჯდა. ხალხში ბევრს თვალთაგან ცრემლი გადმოსკდა.

— ვაიმე'.. ახლა რა პასუხი წაუღო შენს ოჯახს?.. რა უნდა უთხრა შენს მეუღლეს?

ივან გრიგორიჩმა ეს ყვირილი როცა გაიგო, ერთ წუთში ხალხს მიუახლოვდა.

— აქ რას ღრიალებ, შე სულელო?.. ყვირილის დროა?.. ქარხანა ხელიდან მეცლება, შენ კი აქ ყოყინებ? გაიქეცი, იქ უშველე.

მეჭრაბას არაფერი არა ესმოდა რა. ის დამხობილი იყო თავის ძმის გვამზე და ბღაოდა. ბრბო გაცეცხლდა ივან გრიგორიჩის უალაგო ბრძანების გაგონებაზე.

— იმის ძმა დამწვარა, ნაცრად ქცეულა, შვილს ხელები დასწვია და დაკრუნჩხია, შენ კი ეხლა მაგ უბედურს შველას სთხოვ? უწყალოვ, უღმერთოვ! ამ უბედურობაში მყოფს როგორ შეუძლია უშველოს შენს წყეულ ქარხანას, — დაიყვირეს ხალხში რამოდენიმე.

— სულ ერთია, ყვირილი არაფერს უშველის.

მეჭრაბამ როგორღაც უაზროდ ასწია თავი. მწარე ტანჯვის დაღი დასდებოდა იმის შუბლს, თვალები სულიერ ტანჯვისაგან უბრწყინავდა. სახეზე შეშლილის სიშმაგე ეხატებოდა. სიმწარით ცოფიან და იმედ დაკარგულ ლომს ემგზავსებოდა, რომელიც მტერზე დასაცემად ემზადება.

ერთ წუთს გაუნძრევლად დარჩა. ივან გრიგორიჩი განრისხებულ და საშიშარ სახით გაშტერებული უყურებდა.

უცებ მეჭრაბა ელვის სისწრაფით წამოხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო... მართალს ამბობს ბატონი, უნდა იმისი ბრძანება ავასრულო, უნდა უშველო, მე მოვალე ვარ ვიმუშაო.— თავმა დაამძიმა და მისი ბრგე ტანი მეხ დაცემულსავით უსულოდ დაეცა ივან გრიგორიჩის ფეხთ წინაშე, თავის ძმის გაშავებულ გვამზე.

— ჩემი ქორწანა... თუ ღმერთი გწამთ მიშველეთ, ოჯახი დამექცა, დავიღუპე.

Ц. К.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკოზედ

(უფრას ამხანაგის ნაამბობი)

საზოგადოდ ზაფხულის არდადეგები და სოფლად წასვლა იმიტომ უფრო მიყვარს, რომ ამ დროს სოფლად სოკო იცის და სოკოზედ სიარული კი ჩემთვის აღდგომაა. მაგრამ იქნება არც-კი იცი, რა სასიამოვნო და დამატკბობელია სოკოს ძებნა! მაშ, ყური დამიგდე.

წარმოიდგინე თიბათვის ნაზი დილა, როდესაც ცვარი მარგალიტის თვალებივით დაჰფენია არე-მარესა. მსუბუქი სიო ახლად გაღვიძებულ ბუნებას ცელქად ეთამაშება. დღის მნათობი ის ის არის მთის იქიდგან მაღლა ისვრის სხივებსა და ცის კიდურს თვალწარმტაცად აფერადებს. მთებს და მაღალ სერებს საამო ოქროს ფერი დასცემს. ბარში ჭალებს ჯერ კიდევ ნისლი გადაჰფენია: ალაგ-ალაგ არეკილა და ბამბის ქულასავით ნაგლეჯ-ნაგლეჯ ცურვით მიდის მთის მწვერვალისაკენ, ალის ფრად იღებება. ფრინველები მხიარულად ნისკარტს იწმენდავენ და გაჯიბრებით იწყებენ დილის სიმღერასა. შენ ახლად ამდგარი, თვალებ კარგად მოუფშვნეტელი, ხშირად პირ-დაუბანელი, მკლავზე კალათ წამოცმული სერზე შეფენილ ტყისკენ მიეშურები და მადიანად შეექცევი ცივ ჭადის ნატეხ-

I. Champignon
† II. Knollenblätterschwamm
† III. Fliegenpilz
IV. Echter Reizker
† V. Gift-Reizker (giftig)
Milchweiß, Blätterpilz
VI. Bräting
† VII. Spitzkuppenschwamm
VIII. Pfifferling
IX. Butterpilz
X. Kapuzinerpilz (essbar)
Röhrenpilz, Stiel schuppig
XI. Steinpilz (essbar)
† XII. Satanspilz
XIII. Sommerpilz (essbar)
Röhrenpilz
XIV. Habichtsschwamm (essbar)
XV. Trüffel
XV. Hirschtrüffel
XVI. Bovist (jung essbar)
† XVI b. Kartoffelbovist (giftig)
XVII. Morchel (essbar)
XVIII. Lorchel (essbar)
XIX. Kaiser-Ziegenbart (essbar)
XX. Kaiserfleischschwamm (essbar)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა. შეხვედი ტყეში და თამამად გასწიე დაცდილ-დასწავლილ ადგილებისაკენ, სადაც ჩვეულებრივ სოკომ იცის ამოსვლა. ტყის ყვავილთა სურნელებით და დილის მსუბუქ ჰაერით დამტკბარი მკერდი თავისუფლად მოძრაობს. თვალები გაფაციცებით ეძებენ სოკოსა. აი, აგერ კიდევაც მოსჩანს ნაზი რუხი მტრედო, ნეშოებიდგან ახლად თავ წამოყოფილი და გაკოკბილი. მის გვერდით ამაყად წამომდგარა წითელ-ჭრელი კატამჯღავანა, ახლებთან ერთად გვარიანად მობებრებულიც. მაგრამ იმას ხელს არავინ ახლებს—ყველამ იცის, რომ თავის სილამაზით სიმწარეს ჰფარავს და საწამლავია. აი, აგერ. იელს ქვეშ და-ძმურად ხელი-ხელს გადახვეული და შეჯგუფული მჭადო, რომელიც მძებნელს იწვევს: მოდი, ამიყვანე და, თუნდა შეუწვავად მიმირთვი, მაინც გამოსადეგი ვარო. იქით კიდევ მორცხვად გამომზირალი ღვინის ფერი კეკლუცი ხახვილო. აგერ მიხვეულ-მოხვეული, ბერების საყვარელი მანჭკვალა და სხვა მრავალი, მაგრამ შენ მაინც უკმაყოფილო ხარ. ამ დილას ჯერ კიდევ არ გინახავს ის, რაც უფრო გენატრება: ნიყვი—ეს სოკოთა მეფე და ბატონი. განაგრძობ ძებნას და წინ გვერდებ-გადაზნექილი, ფერწასული არყა და მიქლიო გხვდება. მაგრამ ფრთხილად! არყა ძლიერ მწარეა და იმაზედ მონაკიდები ხელი, შემთხვევით თუ თვალში ამოისვი ან პირში ჩაიდე, ბარე ორ ცრემლს გადმოგაგდებინებს. მათ ახლო წამოყუდებულა კარგად მოზრდილი, მსუქანი, ღრუბელივით დაჩვრეტილი და მისოვე ფერი დედაბერა სოკო. ეს ხომ კარგი ნიშანია! მაშ, ახლა ნიყვიც ახლოა სადმე. დედაბერას ხელში იღებ და ეხვეწები: დედაბერა, სოკო მანახვინე, დედაბერა, სოკო მანახვინეო*). ეს სოკო ხომ მარტო ამისთვის არის გამოსადეგი! კარგა ხნის ძებნის შემდეგ, იელის და შქერის ბუჩქებს იქით, ცოტა მოტიტვლებულ ალაგს შენ თვალი

*) ზემო იმერეთში სწამთ, თუ ამ სოკოს შეეხვეწე, ნიყვს (წითელ სოკოს) მალე ვნახავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკარი რალაც წითელ საგანსა და გულმა სიხარულით დაგიწყო ფანცქალი: აი თუ მივაღწიე საწადელსაო! შენც თამამად ამიჯებ ბუჩქებში, არ უშინდები შარვლის დაგლეჯას და კანჭების დაკაწვრას და თვალის დახამხამებაზედ იმ წითელ საგანთანა ხარ! და, ჰოი, სიხარულო, იგი მართლაც ნიყვი არის! აგერ ზოგი იმათგანი მედიდურად წამომართულა კიდევაც, მხრები ფართედ გადაუშლია, მიხაკის ფერი გული გამოუჩენია და ალერსით დაჰყურებს თავის საბძანებელს და თანამოძმეებსა, რომლებიც წარსულ ღამეს ცვარით გაპოხიერებულ მიწაზედ ის ის არის ბუდიდგან გამომძვრალან და თავის უფროს მეზობელს და ძიას მოწიწებით სალამს აძლევენ. ზოგს იმათ შორის ჯერ მხოლოდ წითელი კოკორახი უჩანს, ზოგს მთელი თავი და ზოგსაც — თავთან ერთად ტანი ან ტარიც და ძირში-კი შერჩენია მხოლოდ თეთრი ბუდე, რომელსაც ახლა ათასნაირი ჭია-ღუა დასევია და საუზმედ მიირთმევს, შენ ხარბად სწვდები ამ უმანკო არსებათ, შეუბრალებლად ჰგლეჯ კოკობ ნიყვს და ალაგებ კალათში, რომელიც უკვე პირამდე მოიპირა და ხელსაც გვარიანად გიმძიმებს. აგერ კიდეც სრული კმაყოფილება იგრძენი და გინდა ახლა ძებნას თავი მიანებო, მაგრამ ამ დროს ტყეში სოკოს მძებნელთა ხმაურობა შემოგესმა და ახლა შური გებადება... არ გინდა იმათაც ისარგებლონ ბუნების ამ საჩუქრით და გაფაციცებით იწყებ კიდევ ძებნასა... ბოლოს დატვირთული და ძალზედაც მოქანცული, შინისკენ იბრუნებ პირს და არად იმჩნევ არც დაღალვას და არც ფეხების დაკაწვრას, რადგან ნაშოვარით დამძიმებული კალათი მიგაქვს და გული საგულესა გაქვს.

არა, მეტად მშვენიერი, მეტად მიმზიდველია ზაფხულის მინაზებულ დილას სოკოზე სიარული და ამიტომაც ეგრე გაგიჟებით მიყვარს სოფელი, ტყე, სოკოს ძებნა, ზაფხული და ზაფხულის არდადეგებიცა, რომელსაც ასე მოუთმენლად მოველი!...

ხუცისშვილი.

ორი მხატვარი.

თავი I.

ამდენსამე ვერსზე ბერნიდან—შვეიცარიაში—ერთი ვიწრო კორდია გადაჭიმული. ამ კორდის განაპირას ერთი პატარა, ღარიბული ქოხი იდგა, რომელიც მოხუცებულს ღარიბ მინდსა და მის ბალღებს ეკუთვნოდა.

იმ დღეს, საიდანაც ჩვენი მოთხრობა იწყება, მინდი ჩვეულებრივ შინ არ იყო. მისი ორი უმცროსი შვილი, ნიკლასი და კატო, ქოხის კარებთან იდგნენ და რაღაცას გულმოდგინედ ლაპარაკობდნენ; უფროსი, თორმეტის წლის გოტფრიდი, ანუ ფრიდლი, როგორც შინაობაში ეძახდნენ,—ზურგშექცევით იჯდა მათთან და დიდ ქვაზე ცარცის ნატეხით რაღაცაც ხაზავდა, ამავე დროს ხან წინა ჰხრიდა თავს და ხან უკან: მისი უაზრო შესახედობა და ულაზათო თვალტანადობა პირდაპირ გეუბნებოდა, რომ ფრიდლი ცოტა მოსულელო, ანუ ლენჩიაო.

ბავშვები თავ-თავის საქმეში იყვნენ გართულნი და ვერც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი შეამჩნიეს, რომ ერთი ყმაწვილი კაცი მიუახლოვდა. ტანსამოსით მხატვარს ჰგავდა,—მხატვრებს შვეიცარიაში ხშირად შეხვდებით.

— გამარჯობა, ბავშვებო! როგორა ხართ? მიესალმა მიახლოვებისას და ფეხს აუჩქარა, რომ წინ წაესწრო გზის მაჩვენებლისათვის.

ნიკლასმა და კატომ გაკვირვებით მ-ა-შტერეს უცნობს ნათელი თვალები და მოწიწებით თავი დაუკრეს. ფრიდლიმ კი მხოლოდ ერთი შეხედა მოლაპარაკეს და ისევ ხაზვას მიჰყო ხელი

— შენი სახელი, ბალლო?—ჰკითხა მხატვარმა და ღიმილით დაიხარა ფრიდლისკენ.

— ფრიდლი,—როგორღაც ყრუდ წაიდუდუნა ბავშვმა და ზანტად მოტრიალდა უცნობისკენ.

— რამდენის წლისა ხარ?—განაგრძობდა უცნობი.

— არ ვიცი,—კიდევ წაიდუდუნა ფრიდლიმ, ცოტა ფიქრის შემდეგ.

— რას აკეთებ მაგას?—ეკითხებოდა მხატვარი ვერნე.

— სურათებს ვხატავ,—მიუგო ბავშვმა, წინანდელზე ბევრად უფრო ცოცხლად და მხიარულის ღიმილით გაუბრწყინდა მთელი სახე.

ბატონი ვერნე ახლა კი უფრო ყურადღებით ჩაუკვირდა სხვა და სხვა სურათს, რომლებიც ქვაზედ იყო დახატული, და, როგორც მხატვარმა, ამ საქმის მცოდნემ, ერთბაშად შეამჩნია ხაზების სისწორე და ხელის სიმარჯვე, რაც ძლიერ იშვიათია.

ეჰ, როგორ მენანება,—გაიფიქრა თავისთვის,—რომ არ შემიძლია ამ ქვის წაღება, რათა ზედ დახატული სურათები ჩემ მოწაფეებს ვაჩვენო, განსაკუთრებით იმათ, ვინც ხატვას სწავლობენ, ნიჭი კი სრულიად არა აქვთ და დროს ტყუილად ჰკარგავენ.

— შენ რაღა გქვია?—მიუბრუნდა მეორე ბავშვს, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მის მოსვლის წინად დას ელაპარაკებოდა და ხელში ცარ-
ცის ნატეხი და ნახშირი ეჭირა.

— მე მქვია ნიკლასი,—გაბედვით მიუგო ბავშვმა.

— როგორცა სჩანს; შენცა ჰხატავ, არა? – გაეხუმრა ყმაწვილი კაცი და თვალებით ანიშნა ცარცი და ნახშირი, მაგრამ ნიკლასმა ამაზედ არა უპასუხა რა და მხოლოდ ჩუმად თავი ძირს დახარა.

— როგორ არა, ესეცა ჰხატავს!—ჩაერია რვა წლის დაკატო, მხოლოდ ეს თავის ნახატებს არავის აჩვენებს ხოლმე.

— არ შეგიძლიან ეგ ნახატები მაჩვენო?—ჰკითხა ვერნემ.

— აი, იქ ფიცარზეა დახატული,—განაგრძობდა პატარა ქალი და თითით დარაბაზედ უჩვენებდა, სადაც, ეს-ეს იყო, ნიკლასი ჩამოჯდა.

ყმაწვილმა კაცმა კიდევ გაუმეორა ბავშვს თავისი თხოვნა. ახლა კი ბივშვი, როგორც იყო, ზოზინით წამოდგა ზეზედ და ფიცრის გადაბრუნების ნება მისცა. ვერნემ დაინახა ფიცარზედ ერთი სურათი სოფლის ცხოვრებისა და ძლიერ გაოცდა. დახატული იყო ქოხი თავის მიდამოთი. სინათლე და ჩრდილი ცარცითა და ნახშირით ისე ლამაზად იყო შეწყობილი და ერთმანეთთან შეხამებული, რომ სურათი საზოგადოდ მოსაწონი იყო და ამტკიცებდა, რომ ბავშვს უეჭველად ხატვის ნიჭი ჰქონდა.

– ბიჭოს, კარგი ხატვა გცოდნია, ჩემო კარგო!—ალერსით უთხრა ვერნემ ბავშვს, რომელიც კიდევ თავ-ჩალუნული იდგა.—როგორცა სჩანს, აქ ყველა მხატვრები ყოფილხართ!—დაუმატა ვერნემ და თან თვალი გადაავლო თავის პატარა მოსაუბრეთ; შემდეგ კი ქალიშვილს შეეკითხა, შენც ხომ არ ხატავო.

— არა, მე არაფრის ხატვა არ ვიცი,—გულწრფელად მიუგო თვალჟუჟუნა კატომ: მამა ამათაც ხშირად სცემს, კედლებს ნუ ჯღაბნითო;—ახლა რაკი მამა შინ არ არის, იმიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატავენ ასე თავისუფლად,—დაუმატა მან ცოტა სიჩუმეს ძემდეგ.

— როგორ, განა ქაღალდი, ან ასპიდის დაფა არა გაქვთ, კედლებზე რომ ჰხატავთ?—ცნობის მოყვარეობით ჰკითხა მხატვარმა.

— კიდეც ეგ არის, რომ არაფერი არ გაგვაჩნია, მოწყენილ მიუგო ნიკლასმა და თან ცოტათი უფრო გაბედვით დაუწყო მზერა უცნობს.

— თუ მართლა ასეა, აი, ბალღებო, ამ ფულით ქაღალდი და კარანდაშები იყიდეთ,—სთქვა ვერნემ. ამოიღო ჯიბიდან ვერცხლის ფულები და ბავშვებს მისცა. შენ კი, ჩემო კატო, შენთვის, რაც გინდა, ის იყიდე,—განაგრძობდა მხატვარი და თან აწვდიდა ისეთ ფულს, როგორიც კატოს ძმებმა მიიღეს.

ნიკლასს და კატოს, რომელთაც ასეთი ფული თავის დღეში ხელში არ სჭერიათ, პირველად ძლიერ გაუკვირდათ კეთილ მხატვრის ასეთი გულუხვობა, შემდეგ კი მხურვალე მადლობა გადაუხადეს. თითქმის მოსულელო ფრიდლისაც კი, რომელსაც ფულის მნიშვნელობა არ გაეგებოდა, ძლიერ გაუხარდა, ხელში რომ მრგვალი ვერცხლის ფული დაინახა.

— გმადლობ, გმადლობ! ჩურჩულებდა ბავშვი და თან მხატვრის ხელს მოწიწებით თავის ლოყაზედ იცაცუნებდა.

— არა ღირს, მეგობარო, არა ღირს!—მიუგო გულ-აჩვილებულმა ვერნემ;—განაგრძე ხატვა, მხოლოდ კარგად კი ხატე და ნახატებიც შეინახე. როგორმე კიდევ შემოვივლი თქვენკენ, რომ თქვენი ნამუშევარი ვნახო.

— კეთილო კაცო, კეთილო კაცო!—ჩურჩულებდა ამ დროს ფრიდლი და მხატვრის ხელს ხელიდან არ უშვებდა, თან დრო-გამოშვებით უკოცნიდა;—მამა ისეთი კეთილი არ არის, როგორც შენ! არა, ის შენსავით კეთილი არ არის.

— მამა გაჯავრებს განა, ფრიდლი?—თანაგრძნობით ჰკითხა მხატვარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიაღ, სულ მცემს! აი, აქ... აქ მუდამ მტკივნეულ სიტყვებით საბრალომ ხელი გადაისვა ცემისაგან დასახიჩრებულ თავზე.

— და ყველა ეს სრული სიმართლეა, მოწყალეო ხელმწიფევ,—ჩაერია აქ მხატვრის მხლებელი, რომელიც ამდენ ხანს გაჩუმებული იდგა:—მას აქვთ, რაც ცოლი დაასაფლავა, ამათი მამა მეტს არას აკეთებს, მხოლოდ ტყე-ტყე დახეტიალობს სანადიროდ, ნანადირევში აღებულ ფულით მუდამ ლოთობს; ამ საცოდავებს კი სრულიად ყურადღებას არ აქცევს და მთელის დღეობით მშივრები ღვთის ანაბარადა ჰყრიან ეს საბრალოები.

— თქვენცა გცემთ? — ჰკითხა ვერნემ ნიკლასსა და კატოს.

— ჩვენცა გვცემს; ყველასა სცემს, როდესაც გაჯავრებულია, მაგრამ საწყალ ფრიდლის ჩვენზე მეტი ხვდება წილად.

— ამიტომ არ ვაბეზღებთ და ვმალავთ ხოლმე ფრიდლის,— მოწყენით წარმოსთქვა კატომ.

— სადა ჰმალავთ?—ჰკითხა ვერნემ და გულმხურვალე თანაგრძნობით გადაჰხედა ბავშვებს.

— პატარა ფარდულში ვმალავთ, სადაც წინად ჩვენს თხას ვამწყვდევდით, განაგრძობდა კატო:—იქ ისე ბნელა, ისე რომ ვერაფერს ჰხედავს და ფრიდლის ვერ ამჩნევს. აი, ეს რამდენიმე დღეა, ფრიდლიც იქ ათევს ღამეს.

ეტყობოდა, კატო ძლიერ კმაყოფილი იყო მით, რომ ფრიდლის დასამალავი ადგილი ჰქონდა.

მხატვარმა მოისმინა ბავშვის ლაპარაკი და მწუხარედ გაქნია თავი; შემდეგ რამდენიმე სიტყვა უთხრა გზის მაჩვენებელს, უბის წიგნაკში ბავშვების ვინაობა ჩაიწერა და მოწყენილი გამოეთხოვა თავის ახალ ნაცნობებს; ამასთანავე დაჰპირდა, ულათუოდ გინახულებთ, როგორც კი შემთხვევა ნებას მომცემსო.

— კეთილო კაცო! მშვიდობით, კეთილო კაცო!—გასძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდა ფრიდლი მიმავალ მხატვარს და დიდხანს თვალს აშორებდა იმ ბილიკს, რომლითაც მიდიოდა ბატონი ვერნე.

როდესაც ეს მოულოდნელი კეთილი სტუმარი გააცილეს, ნიკლასი და კატო დიდხანს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ რა აჯობებდა, რომ ეყიდნათ ნაჩუქარ ფულით. ფრიდლიმ კი, რომელმაც ფულის დანიშნულება არ იცოდა, წყნარად ჩაიდო ფული ჯიბეში და ისევ ხატვა განაგრძო ქვაზე.

— იცი, რას გეტყვი,—გადასწყვიტა ბოლოს კატომ:— ჯერ ჩემი ფულიც შენ ფულთან შეინახე და, როდესაც მაშა სადმე წავა, მაშინ გაიქეცი ბაზარში და შენთვის და ფრიდლისათვის ქალალდი და კარანდაშები იყიდე, როგორც იმ კეთილმა ბატონმა გითხრა; მე კი ასპიდის დაფა მიყიდე, ხომ იცი, აი, ისეთი, სკოლაში მოსიარულე გოგოებს რომ აქვთ. როცა იქნება, ვთხოვ მოხუც ანნას, რომ ანბანი დამიწეროს დაფაზე და მერე ჩემით ვისწავლი; შენ და ფრიდლიმ კი სურათები ჰხატეთ და ჰყიდეთ. აი, კარგი თუ გინდა, ეგ იქნება, აი!

— ხა, ხა, ხა!—გადიხარხარა ნიკლასმა,—განა ჩვენს სურათს იყიდის ვინმე? ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ძლიერ ცუდად ვხატავთ! არა, კატო, ჩემის ფიქრით, უკეთესი იქნება, ასე მოვიქცეთ,—განაგრძობდა ბავშვი:—დაფასა და ქალალდში კი ნუ დავხარჯავთ, რაც ფული გვაქვს, ნახევარი დავხარჯოთ; დანარჩენ ფულით კი შემდეგში პური ვიყიდოთ .ცოტ-ცოტა, რომ მთელ დღეობით მშივრები არ ვეყაროთ, როდესაც მაშა გაჯავრებული მოდის შინ და არას გვაჭმევს. მგონია, ასე ემჯობინება.

— მაშ, კარგი, აგრე მოვიქცეთ,—დაეთანხმა კატო:—მაშინ შეგვეძლება ცოტა პური ფრიდლისაც შეუნახოთ, თორემ ის ხომ ხშირად მშიერი ზის ფარდულში. გული მიკვდება ხოლმე, რა რომ კვნესის და ტირის შიმშილისა, ჩვენ კი მისაცემი არ ფერი გვაქვს. ხშირად ჩვენ ხომ ერთი ლუკმა პურიც არ გაგვაჩნია,—მოწყენით დაუმატა ქალმა. უკანასკნელ სიტყვების თქმაც ვერ მოასწრო, რომ შორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალაც ხმა მოისმა—ვიღაც მღეროდა მხიარულად. ეს ბიჭებმა გაიგონეს, ბავშვებმა მაშინვე ხმა გაკმიდეს, თითქის ფრიდლიმაც იქით მიიხედა, საიდანაც ხმა მოდიოდა.

— ეს მამაა,—წაჩურჩულა ნიკლასმა, რომელიც სიმღერას ყურს უგდებდა.

— მე ვიცნობ მის ხმას და ვატყობ, მამა კიდევ გულმოსულია. აი, ახლა დაადგება ფრიდლს ცუდი დღე!

— მაშ, უნდა დავმალოთ როგორმე! — სთქვა მოხერხებულმა კატომ და უფროს ძმასთან მივიდა.

— ფრიდლი, ფრიდლი, მამა მოდის!—წარმოსთქვა სიჩქარით.

— შენი ჭირიმე, მალე დაიმალ ლე ფარდულში და იქ იჯექ ჩუმად.

— კი, კი, ჩემო ფრიდლი, ფარდულში დაიმალე, — ურჩია თავის მხრივ ნიკლასმაც, რომელიც ძმას მიუახლოვდა:— ცოტა ხანს იჯექ იქა და, თუ მამა ძალიან გაჯავრებული არ იქნება, მაშინვე მოვალ და შეგატყობინებ.

ეს რომ მოისმინა და მოისაზრა, რაშიაც იყო საქმე, საწყალი ფრიდლი საჩქაროდ გაექანა კარგად ნაცნობ ფარდულისკენ და ძლივს მოასწრო ერთს ბნელ კუთხეში მიმალვა,— რომ გამოჩნდა მოხუცი მინდი.

— შეხედე ნიკლას, როგორ ბარბაცობს მამა! ეტყობა, დღესაც დამთვრალა,—წასჩურჩულა ძმას შეშინებულმა კატომ:

— მგონი, ჩვენც რომ დავიმალოთ, უკეთესი იქნება.

— არა, კატო! ჩვენი დამალვა არ ივარგებს,—მიუგო ნიკლასმა, რომელიც ცახცახებდა შიშით, თითქოს გააცივაო: მამა უფრო გაჯავრდება, სახლში რომ არავინ დაუხვდება; ჩვენ მაინც მოგვნახავს და მაშინ უფრო მეტსა გვცემს. უკეთესია, აქ დავრჩეთ და წყნარად ვიჯდეთ; მაშინ, იქნება, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

ბავშვები ამ უკანასკნელ აზრს დაადგნენ; შემდეგ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰხვიეს ერთმანეთს ხელები და წავიდნენ მამის მისაგებებლად. მინდი ნელის ნაბიჯით უახლოვდებოდა სახლსა.

მინდი იყო მაღალი, ჯანსაღი, ასე—ორმოც-და-ათის წლის ვაჟკაცი; სახე ჰქონდა წითური, დაბორდოხებული, თმა ნახევრად ჭაღარა; თვალები უსიამოვნოდ გამომეტყველი, რაც მის სასარგებლოდ არას ამბობდა. ტანზე ჭუჭყიანი ტანისამოსი მთლად შემოჰფლეთოდა, გაცვეთილი, გახუნებული ქუდი კი ძლივს იყო დამაგრებული კეფაზე. მიახლოვებ-სათან ვე ნიკლასმა და კატომ მოწიწებით სალამი მისცეს მამას, მაგრამ მოხუცმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია და ხმის ამოუღებლივ შევიდა ქოხში. ბავშვებიც თან შეჰყვნენ.

— ჰო, რაო რომ შემოცვივდით? უთუოდ კიდევ მშივრები ხართ, არა? თქვე უსაქმურებო, თქვენა!—დაიწყო ჯავრობა მინდიმ.

— დიაღ, მამიკო! ჩვენ ხომ დილას აქეთ არაფერი გვიჭამია!—ჩუმად მიუგო ნიკლასმა.

— ჰო, მაგრე, მაგრე! თქვენ მუდამ მშივრები ხართ! წაიბურთხუნა მოხუცმა:—მხოლოდ ჭამაზე გაქვთ თვალები დაჭყეტილი; იმას კი არ ფიქრობთ, მამამ საიდან იშოვნოს პური. უკეთესი იქნება, დაწვეთ და დაიძინოთ,—განაგრძობდა მინდი ხელების ქნევით:—სულ ერთია, დღეს მაინც არაფერს გაქმევთ, და „ვისაც სძინავს, ის-კი შიმშილს ვერა გრძნობს,“ ამბობს ანდაზა.

ბავშვებმა მოწყენით გადაჰხედეს ერთმანეთს!

— კიდევ კარგი, თავი რომ მხრებზე შემრჩა,—დაუმატა მინდმა გაჯავრებით.

— რა იყო? უკიდურება ხომ არაფერი შეგმთხვევია, მამილო?—თითქმის ერთხმად ჰკითხეს შეშინებულმა ბავშვებმა.

— ეგ თქვენი საქმე არ არის!—გა-წყვეტინა მამამ:—მაგრამ იმ ბებერს ვერაგ მეტყევეს კი მოვაგონებ ამას, თუ კაცი ვარ! ერთი ბეწოთი რომ უკეთ ესროლა, თქვენი მტერია, მისი ტყვია მე დღეს თავს გამიპობდა! მაგრამ ეს ფრიდლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაა?—უცბად იკითხა და გარშემო მიიხედ-მოიხედა. სადაც-დროს თავისი რკინის წვეტიანი ჯოხი კუთხეში მიაგდო.

— უნდა გავიგო, სადაა ფრიდლი?—ყვიროდა მინდი, რაკი დაინახა, ბავშვები ხმას არ იღებდნენ:—მთელი დღე იმასთან იყავით და უნდა იცოდეთ, სად დაიკარგა ის საძაგელი. შე თქვენ გეუბნებით, ახლავე აქ მომგვარეთ, თორემ...

მოხუცმა ხელი წამოავლო თავის გრძელ ჯოხს; შეშინებული ბავშვები ყვირილით და ტირილით გარედ გამოვარდნენ და, რამდენსამე წამს შემდეგ, ფრიდლიანად უკანვე დაბრუნდნენ.

საწყალი ფრიდლი ახლა როგორღაც მოკრუნჩხულიყო და შიშითა ცახცახებდა. ქოხში რომ შევიდა, უნდოდა შეუმჩნევლად მიმალულიყო ბნელ კუთხეში, მაგრამ ამ დროს, მისდა საუბედუროდ, ჯიბიდან მხატვრის ნაჩუქარი ფული ამოუვარდა და წკრიალით გაგორდა იატაკზე.

— ეგ რა არი? ვინ მოგცა ფული?—იყვირა მინდმა და ბავშვს მიუახლოვდა.

— კეთილმა ბატონმა, კეთილმა ბატონმა!—წაილუღლუღა პასუხად შეშინებულმა ფრიდლიმ.

— ვინ კეთილი ბატონიო?—კიდევ იყვირა მოხუცმა და თან იატაკიდან ფული აიღო.—ეს თქვენ, ნიკლას და კატო, თქვენ უნდა იცოდეთ, საიდან იშოვნა ამან ფული?

— ვიღაც უცნობმა კაცმა აჩუქა,—ძალაუნებურად წარმოსთქვეს ბავშვებმა.

— მაშ, იმ ბატონმა უთუოდ თქვენც მოგცათ რამე, თქვე არ დასაცალებლებო! ხმას-კი არ იღებთ!—განაგრძობდა გულმოსული მინდი.

— დიაღ, მამილო, ჩვენც მოგვცა თითო ვერცხლის ფული,—მიუგო ნიკლასმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— მაშ, რაღას გაჩუმებულხართ? ახლავ აქ მოიტანეთ ეგ ფულები!—დაიყვირა მოხუცმა ისეთის ხმით, თითქოს ბავშვებს რაღაც უშველებელი დანაშაული ჩაედინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ყვირილზე ბავშვებმა დაუყოვნებლივ ამოიღეს ჯიბეებიდან თავისი ფულები და მამას გადასცეს.

— ოოო! მაშ, ჩემი მოტყუილება გნებავთ, განა?— ყვიროდა ამასობაში მოხუცი: — ფიქრობდით, არ გეჩვენებინათ ეგ ფულები? თქვე არ დასაცალებლებო, თქვენა!

— არა, მამიკო! მხოლოდ ქალალდის ყიდვა გვინდოდა ამ ფულებით, წაილუღლუღა ნიკლასმა თავის გასამართლებლად.

— აი, თქვე საძაგლებო! — თქვენ ქალალდი უნდა იყიდოთ იმ დროს, როდესაც მამა თქვენს ერთი კაპეიკი არ გააჩნია? — გაჯავრდა მოხუცი მინდი: — მაცალეთ, მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა ხარჯოთ ფულები ჩემს დაუკითხავად!

— სთქვა და დაუწყო ცემა ბავშვებს; ცემის დროს ყველაზე მეტი, რასაკვირველია, სუსტსა და ზოზინა ფრიდლის მოხვდა.

რამდენსამე წამს შემდეგ, მოხუცმა გაათავა ბავშვების განსამართლება; შემდეგ თავზე ქუდი ჩამოიფხატა, ერთხელ კიდევ მილანძღა შეშინებული და დაბეგვილი ბავშვები და გასწია სამიკიტნოსკენ.

მამა რომ წავიდა, საწყალმა ბავშვებმა ერთ კუთხეში მოიყარეს თავი, ტიროდნენ და ხელს ისვამდნენ ნაცემ ადგილებზედ. ამასთან კატო და ნიკლასი ძლიერ სწუხდნენ, რომ ახლა ქალალდსა და ასპიდის დაფას ველარაფრით იყიდდნენ, მაგრამ ამ დროს ფიქრადაც არ მოსვლიათ გასჯავრებოდნენ ფრიდლის, რომელსაც თავის უხერხულობით ფული ამოუვარდა ჯიბიდან და ამგვარად შეიქნა მათის მწუხარების მიზეზი.

ამასობაში დაღამდა კიდეც. ბავშვებმა ცოტ-ცოტათი თვალებზე ცრემლები შეიშრეს და ძლიერ შიმშილსა ჰგრძნობდნენ, მაგრამ კარგად იცოდნენ, რომ მთელ სახლში ერთი პური არ მოიძევებოდა.

კატო მაინც წავიდა საჭმლის საძებრად; გადაჩხრიკა ყველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა კუთხე და ბოლოს იპოვა რამდენიმე მოხარშული ცივი კარტოფილი, რომელიც რაღაც სასწაულის ძალით გუშინდელ სადილს გადარჩენოდა. კატომ ეს კარტოფილი თანასწორად გაჰყო თავიანთ შორის. ამ მცირე ვახშამს შემდეგ, საწყლებმა ილოცეს ღმერთი და დაწვნენ თავის გახრეკილ ლოგინში.

(შემდეგი იქნება).





ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთი.

(იგავი).

ერთმა კაცმა ნელ-ნელა ღვინის სმას მიჰყო ხელი და ბოლოს ახირებულ ლოთად გადაიქცა. დაივიწყა გარჯა, შრომა, საქმიანობა; სრულიად მიატოვა ცოლ-შვილზედ ზრუნვა და მუდამ გამობრუჟული დადიოდა.

გამწარებულმა და თვალ-ცრემლიანმა ცოლმა მისს მეგობრებს მიჰმართა და შეევედრა:

— ღვთის გულისთვის, მოწყალება მოიღეთ, შემიბრალეთ, ჩემ ქმარს უთხარით რამე, ჩააგონეთ; იქნება, თქვენის შვილების დღეგრძელობით, თქვენმა დარიგებამ გასჭრას, კაცი გონს მოვიდეს და ხასიათი გაისწოროს.

მეგობრებმა ლოთი დაიბარეს და უთხრეს:

— კაცო, რა დაგემართა, რა გაგიხდა ეგ შენი მუცელი, რით ვერ ასრულდი ღვინის სმით. იკმარე, ცოლ-შვილი შეიბრალე; შენის ქცევის წყალობით, ლამის მათ სულები ამოხდეთ.

— რა ვქნა,—მიუგო ლოთმა,—არც მე ვარ კმაყოფილი ჩემის თავისა; ვერაფერი გამიგია: ვსვამ, ვსვამ, ვსვამ—მაინც სულ მინდა და მინდა. იქნება, ერთხელ ძღომა რომ მეგემოვნა, სმაზედ ხელის აღებასაც შევიძლებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი იფიქრეს, ბევრი ითათბირეს მეგობრებმა და ბო-ლოს გადასწყვიტეს: აუხადონ ამ უბედურს ღვინით სავსე დიდი ქვევრი და მისცენ ნება იმდენი სვას, ვიდრე მობეზრდებოდეს; როცა ერთხელ უდიერად გაძღება, ვნახოთ, მაშინ რას იზავსო.

ლოთი სავსე ქვევრის პირას წამოწვა, ღვინოს დაეწაფა; მაგრამ როცა სმით გული იჯერა და ფეხზედ წამოდგომა დაპირა, ის შენს მტერს, რა დღეც იმას დაადგა: სიმთვრალისაგან თავი ველარ შეიმაგრა, წაბარბაცდა, სავსე ქვევრში თავდა-ყირა ყლაპანი მოსძვრა და, ვიდრე მიეშველებოდნენ, კიდეც დაიხრჩო.

ალ. მირიანაშვილი.

ქიმია.

ნახშირი.

ცენარეულ ნივთიერებათა შენადგენი. ვინ არ იცის, რომ შეშა ვიდრე დაიწვება, ნახშირად იქცევა. მენახშირეები, ნახშირის დასაწვავად აწყობენ შეშას მიწაში და ისე სწვავენ. ხისგან ჰქმნიან ნახშირს, მაშასადამე, მცენარე შეიცავს ნახშირს. ნახშირი მცენარის ყოველ ნაწილშია, ხის გულში, ფურცლებში და ყვავილებში. ხის ყველა ეს ნაწილი შესდგება ნახშირის, ჟანგმბადის და წყალმბადის შეერთებისაგან. გაგაკვირვათ ჩემმა სიტყვებმა: „როგორ, მშვენიერი, თეთრი ყვავილი, შესდგება ჭუჭყიან, შავ ნახშირისგან!“. დიახ, სწორედ ეგრეა. ხომ იცით, როგორ იცვლება ნივთიერება, სხვა ნივთიერებასთან შეერთებით? რთულ, მცენარეულ ნივთიერებაში, სხვათა შორის, ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მარტივი ნივთიერება, რომელსაც ქიმიკოსებმა ნახშირმბადი უწოდეს. ეს ნივთიერება ცალკე რომ ავიღოთ, უბრალო შავ ნახშირსა ჰგავს. ნახშირმბადი, ჟანგმბადი და წყალმბადი შეადგენენ თითქმის ყველა რთულ და სხვა და სხვა მცენარეულ ნივთიერებას. მოითმინეთ ცოტა: აი, შაქრის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეხი. ეს ნივთიერება მცენარეულ ჩამომავლობისაა. შაქრის ლერწამისაგანა და ჭარხლისაგან ჰქმნიან. შაქრის ნატეხს დავდებ რკინის კოვზზედ და ცეცხლზე გავახურებ, ისე კი რომ არ აინთოს, არ მოეკიდოს ცეცხლი. რამდენსამე წუთის შემდეგ, შაქრისგან დაგვრჩება შავი ნახშირი. თუ ამ ცდის დროს, შაქრის ზემოდ დავიჭერ ცივ მათლაფას, მათლაფაზე შეგროვდება წყალი, რომელიც შაქარში მყოფ ჟანგმბადისა და წყალმბადისგან შესდგება. სწორედ ასეთივე ცდა შეიძლება ვაწარმოვოთ სახამებლით, ალუბლის ხის წებოთი, სამარხვო ზეთით და სხვა ბევრი მცენარეული ჩამომავლობის ნივთიერებით ჰხედავთ, რამდენი რთული ნივთიერება ბუნებაში შესდგება სამ მარტივ ნივთიერების შეერთებით!

პირუტყვულ ჩამომავლობის ნივთიერებათა შენადგენი. ნახშირმბადი აგრედვე პირუტყვის ყოველ ნაწილში არის. ესრედ წ-დებული, პირუტყვული ნახშირი, რომელსაც შაქრის დასაწმენდად ხმარობენ, მიღებულია თავ-დაცულ ჭურჭელში ძვლების დაწვით, პირუტყვის ქონი, ძროხის ერბო და სხვა ქონი შესდგება ნახშირმბადისა, წყალმბადისა და ჟანგმბადისაგან. პირუტყვის სხეულის სხვა ყველა ნაწილი ამავე გაზებისაგან შესდგება, მაგრამ ამათ გარდა, აზოტიც არის. ნახშირმბადი, წყალმბადი, ჟანგმბადი და აზოტი ეკუთვნის მარტივ ნივთიერებათა რიცხვს. ეს გაზები შეადგენს ყველა იმ რთულ ნივთიერებას, რომელთაგანაც შესდგება პირუტყვთა სხეული და მცენარეთა ნაწილები. ეს ნივთიერებანი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთში გარეგნობით და იწოდებიან ორგანოვან ნივთიერებათ, რადგანაც მათ ჰპოვებენ პირუტყვების და მცენარეების სხვა და სხვა ორგანოებში.

ნახშირმბადი სხვა და სხვა სახით.—გინახავთ ნახშირმბადი, ხის ნახშირის სახით. არის კი ეს ნივთიერება სხვა სახით? აბა, მიპასუხე, სიკო!

— რკინის გზაზედ ქვა-ნახშირს და ცეცხლით დაწმენდილ ქვა-ნახშირს სწვავენ. მე მგონია, ესენიც ნახშირმბადი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, სცდები. ქვის ნახშირი და ცეცხლით დაწმენდილი ქვის ნახშირი (კოკსი) ერთია თუ არა? არ იცი, ანდრო?

— რასაკვირველია ერთი არ არის. ქვის ნახშირი ბრწყინავს და თითქოს ქონი უსვია, ისეთ შთაბეჭდილებას იღებთ ხელის მიკარებაზე. ცეცხლით დაწმენდილი ქვის ნახშირი კი მშრალია და არცა ბრწყინავს.

— მართალია, გარეგნობით მაგითი განსხვავდებიან. შინაგანი, არსებითი განსხვავება არის მათ შორის? აბა, ანდრო, გეცოდინება. ხომ ხშირად დადიოდი გაზების ქარხანაში?

— ვიცი. ცეცხლით დაწმენდილი ქვის ნახშირი ქვის ნახშირის მონარჩენია. როდესაც ამ უკანასკნელს მთლად გაზს მოაშორებენ, მაშინ მიიღებენ უგაზოთ დარჩენილ ნახშირს, ანუ ცეცხლით დაწმენდილ ქვა-ნახშირს.

— მაშ, ჰხედავთ რაშია საქმე! როდესაც ქვა-ნახშირს ახურებენ, მისგან გამოდის მნათობი გაზი და განა მარტო ეს გაზი, ბევრი სხვა ნივთიერებაც გაზთან ერთად შორდება ნახშირს. სწორედ განსაცვიფრებელია, რას არ იძენენ ქვა-ნახშირისგან: საუცხოვო საღებავს, სურნელოვან წყალს, ასობით სხვა და სხვა სასარგებლო ნივთიერებას, მათ შორის არის ისეთიც, რომელსაც ტკბილეულობასაც კი ურევენ. მაშ, ქვის ნახშირი არ არის წმინდა ნახშირმბადი, ცეცხლით დაწმენდილი ქვის ნახშირი კი თითქმის უახლოვდება მას. ნახშირმბადი სხვა სახითაც არის, მაგ., გრაფიტი, რომლისგანაც ყარანდაშებს აკეთებენ, მაგრამ ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ ალმასი, ეს მშვენიერი, ბრწყინავი ქვა, წმინდა ნახშირმბადია. გახსოვთ, წინადაც გითხარით ამბავი ამ ლამაზ, ძვირფას ქვისა, რომელსაც შუშის საჭრელად და ათასგვარ სამკაულად ხმარობენ და აბა, იფიქრეთ, ისიც იმავე ნივთიერებისგან შესდგება, რომლისგანაც შესდგება უბრალო, შავი ნახშირი, თქენ მგონი არ გჯერათ ჩემი ნათქვამი და გსურთ დასამტკიცებელი საბუთები; წარმოდგენა, ინებეთ, რამდენიც გინდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა წარმოსდგება ნახშირმბადის დაწვისაგან.—გიცდიათ როდისმე ალმასის გახურება ცეცხლზე? ალმასი ამოიბურცება და გადიქცევა შავ საგნად, რომელიც ძალიან ჰგავს ცეცხლით დაწმენდილ ქვის ნახშირს. მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ გარეგანი მიმზგავსება საკმარი საბუთი არ არის იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ალმასი და ნახშირმბადი ერთი და იგივე ნივთიერებაა. აი, ნახშირის ნაჭერი, ჩავაგდოთ ცეცხლში. ნახშირი წითლდება, ღვივდება და ბოლოს ნელ-ნელა ჰქრება. ახლა ნახშირისგან ცოტაოდენი ფერფლი-ღა დარჩა. ფერფლი უბრალო ანარევია. არავითარი ერთობა იმასა და ნახშირმბადის შორის არ არის; ნახშირმბადი დაიწვა, გაჰქრა, მაგრამ თქვენ ხომ იცით ბუნების კანონი, არაფერი არ იკარგება სამუდამოდ. ნახშირმბადი არ გაჰქრა სრულიად, არ მოისპო. მაშ, რა მოუვიდა? დაიწვა. და ეს კი ჰნიშნავს, რომ ის შეუერთდა ჰაერის ჟანგმბადს, რა წარმოსდგა ამ შეერთებისაგან, როგორ ფიქრობ სოსო?

— მე მგონი—გაზი, რადგანაც სხვა არავითარი ნივთიერება არა სჩანს, გაზი ბუხარში ავიდა.

— მართალია,—გაზი, მაგრამ რა გაზი, არ იცი?

— ან ნახშირბადის გაზი უნდა იყვეს, ან ნახშირბადური, ამ ორში ერთი.

— ყოჩაღ, ბიჭო! ორთავე იქნება, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიმდინარეობს წვა, ჩქარა, თუ ნელა. როდესაც ნახშირი ჩქარა იწვის, მაშინ ჩნდება ნახშირული სიმჟავე (მასვე უწოდებენ ნახშირიან მჟავე გაზს). მაშინ კი, როდესაც ნახშირი ნელა იწვის, ბჟუტავს, ის, რასაც შენ ნახშირბადის გაზი უწოდე, ქიმიკოსები მაგ გაზს, ნახშირმბადის ჟანგს ეძახიან. კვლავ აგიხსნით როგორ ნივთიერებას ჰქვიან ჟანგი. თუმცა სახელი, ვსთქვათ „ნახშირმბადის ჟანგი“ ისედაც ადვილი გასაგებია. ეს სახელი გვეუბნება, რომ ნახშირმბადი შეერთებულია ჟანგმბადთან. ნახშირულ სიმჟავეში ჟანგმბადი ორჯერ მეტია, ვიდრე ჟანგში. ამ სიმჟავეში, ნახშირმბადის სამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილზე, ჟანგმბადის რვა ნაწილი მოდის. ჟანგში კი, ნახშირმბადის სამი ნაწილი შეერთებულია ჟანგმბადის ოთხ ნაწილთან. ბუხარში, ნახშირის დაწვის შემდეგ, ჩნდება ნახშირმბადის ჟანგის და ნახშირულ სიმჟავის ანარევი. რაც უფრო მეტი ჰაერი იზიდება ბუხარში, იმდენად მეტად ღვივდება. ნახშირი, იმდენად ჩქარა უერთდება ჟანგბადს. ამიტომაც, იმდენად მეტი ნახშირული სიმჟავე ჩნდება და ნაკლები ნახშირმბადის ჟანგი. აი, კარგი ხერხი, რომლითაც გაიგება, შეიცავს ესა თუ ის ნივთიერება ნახშირმბადს თუ არა. დასწვით ცეცხლში დაწმენდილ ქვის ნახშირი, გრაფიტი, ალმასი... მიიღებთ ნახშირულ სიმჟავეს, ან ნახშირმბადის ჟანგს, ან ამ ორ გაზს ერთად. ამ გაზების რაოდენობა წვის ძალაზეა დამოკიდებული. ალმასისა და გრაფიტის დაწვის შემდეგ, ნაცარიც კი ალარ დარჩება, სულ მთლად ნახშირულ სიმჟავედ და ნახშირმბადის ჟანგად გადიქცევა. აი, ეს დაამტკიცებს, რომ ეს ორი ნივთიერება ნახშირმბადისაგან შესდგება. ნახშირული სიმჟავე და ნახშირმბადის ჟანგი ჩნდება ღუმელში, სანათში, სანთლის ალში. მოდი ცოტა დრო ამ გაზების შესწავლას მოვანდომოთ.

ნახშირმბადის ჟანგი. ეს ჟანგი არის გაზი უფერო და უსუნო. ეს თვისებანი დიდ უბედურებას გვაყენებს, რადგანაც შეუმჩნევლად თვალისთვის, სწამლავს ადამიანის ორგანიზმს; საკმარისია, ჰაერში ამ გაზისა შერეული იყვეს ერთი მეათასედი ნაწილი, რომ ადამიანი მოიწამლოს და მოკვდეს. ერთი მეათასედი ნაწილი ნახშირმბადის ჟანგისა საშინელ თავის ტკივილს უტეხავს ადამიანს.

ნახშირული სიმჟავე. ნახშირმბადის ჟანგი, წყალმბადივით, მნთებარე გაზია. თუ ცეცხლს მივცემთ, თავისთავად დაიწვის. ამ წვის დროს რა ჩნდება, ნიკო?

— ნახშირული სიმჟავე.

—მართალია, და ამასთან ნახშირმბადის ჟანგის წვის დროს კიდევ იღებს ჰაერიდგან ჟანგმბადს. ნახშირმბადის ჟანგი ანთია ლამაზ, ცისფერ ალით, აი ისეთით, ბუხარში ნაკვერჩხალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ადგია. დაიხსომეთ, სანამ ბუხარში, ან ღუმელში კიდევ არის ეს ცისფერი ალი. ბუხარი არასგზით არ უნდა დახუროთ, რადგანაც ცისფერი ალი, ჰნიშნავს იმას, რომ ბუხარში ჯერ კიდევ ჩნდება ნახშირმბადის ჟანგი. თუ ბუხარს უდროოდ დახურავთ, ჟანგი მოგროვდება ოთახში და ნახშირის სუნით მოიწამლები ნ ოთახში მყოფნი. უნდა სულ დაიფერფლოს ნაკვერჩხალი და მხოლოდ მაშინ დაჰხუროთ ბუხარი. მაშ, ესე: ნახშიროვანი სიმჟავე ბუხარში ორის გზით ჩნდება, ან პირდაპირ მაშინ, როდესაც ნახშირი ერთბაშად იღებს ჰაერიდგან ჟანგმბადს, ან არა და მაშინ, როდესაც ბუხარში ჯერ ნახშირბადის ჟანგი ჩნდება; ჟანგი იწვის და ამ პროცესის დროს კიდევ იღებს ჰაერიდგან ჟანგმბადს და ამ რიგად აჩენს ნახშიროვან სიმჟავეს, ანუ ნახშირმჟავს. ბუხარი როცა ანთია, ორივე მოვლენა ხდება. ნახშირმჟავა უფერო გაზია, იმის თქმა კი, რომ უსუნო და უგემო იყოს, შეცდომა იქნება. ნახშირმჟავა ისეთი საშიში და მავნებელი არ არის, როგორც ნახშირმბადის ჟანგი. მხოლოდ მაშინ არის მავნე, როდესაც ჰაერის ას ნაწილზე მისი ოცი ნაწილი მოდის. მაგრამ მაინცა და მაინც ნახშირმჟავა სახუმრო საქმე არ გახლავთ. და აი რა მიზეზით: ჯერ პირველად, სისალისათვის სასარგებლო არ არის იმ ოთახში ყოფნა, სადაც ჰაერის ას ნაწილზე მოდის ამ გაზის ოთხი ან ხუთი ნაწილი. მაგრამ მარტო ეს არ არის ნახშირმჟავას მავნებლობა. თუ რომ ოთახში არის ნახშირმჟავა, ეტყობა ყოფილა მისი გამჩენელი მიზეზი, თორემ ამა თუ იმ ქიმიკოსის სურვილით არ დაიბადებოდა ოთახში. ნახშირმჟავას გაჩენაში უეჭველად დამნაშავეა ჟანგმბადი. ნახშირმჟავას ერთი ბოთლი რომ შევაგროვოთ, უნდა მის შედგენისათვის ერთი იმოდენავე ბოთლი ჟანგმბადი დავხარჯოთ; მაშასადამე, თუ რომ ოთახში, ჰაერის ას ნაწილზე, ნახშირმჟავას ათი ნაწილი მოდის, იმავე დროს ჰაერს ჟანგმბადის ათი ნაწილი აკლია. ამ უკანასკნელის 21 მეასედი ნაწილის ბადლად, ჰაერში იქნება ცხოლოდ 11 მეასედი ნაწილი. ვინც ამ ჰაერით ისუნთქავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ ნაირ ხიფათში ჩავარდება: ნახშირმჟავათი იწამლება და ჟანგმბადის ნაკლებობის გამო სული ეხუთება. აი, ჩვენც ესე მოგვივიდოდა, თუ ფანჯრებსა და კარებებს ისე გავლესავდით, რომ წმინდა ჰაერი აღარსაიდგან აღარ შემოსულიყო. საქმე ის არის, რომ ჟანგმბადს ვისუნთქავთ და ამოსუნთქვით კი ჰაერს ნახშირმჟავას ვმატებთ. ჩვენი სხეულის შინაგანში ყოველ წამს მიმდინარეობს ნელის წვის პროცესი და ამასთან ჩნდება მხოლოდ ერთი ნახშირმჟავა, ნახშირმბადის ჟანგი არა ჩნდება, მაგრამ ამაზე, როცა ფიზიოლოგიის შესწავლას დავიწყობთ, მაშინ დაწვრილებით ვილაპარაკებთ. ზოგიერთ ადგილებში, ნახშირმჟავა პირდაპირ მიწიდგან ამოდის, იავას კუნძულზე არის ერთი ღელე, სადაც მიწიდგან იმდენი ნახშირმჟავა ამოდის, რომ იქ ცხოვრება შეუძლებელია. ფრინველი თუ მივიდა ამ ღელესთან, შინვე უსულოდ ეცემა ძირს. იტალიაში, ნეაპოლის ახლო, ერთი გამოქვაბულია, სადაც კაცი სრულიად უვნებლად შედის, და სუნთქავს, ძაღლი კი, როგორც შეჰყოფს ცხვირს გამოქვაბულში. გაგუდული ეცემა ძირსა. ნახშირმჟავა სწამლავს მის ორგანიზმს; ადამიანი ისე უვნებლად რჩება გამოქვაბულში იმ მიზეზით, რომ გაზი გაცილებით მძიმეა ჰაერზე და იმიტომ თითქმის დედამიწის პირს ეკვრის. ცომის გაღვივების დროსაც ჩნდება ნახშირმჟავა, ამიტომ ცომი ამოდის, ისხამს მრავალ ბუშტებს და პური დაჭვრეთილი გამოდის. ნახშირმჟავა ჩნდება აგრეთვე კვასის, ლუდის გაკეთების დროსა კ. ხომ იცით, ყველა ეს სასმელები, როგორც კვასი, ლუდი, ღვინო, არაყი უნდა დაყენებულ იქმნას ტკბილ ჭაჭაზე. როცა ჭაჭა დულილს იწყობს, რაც იმაში შაქარია, ამ დულილის დროს ნახშირმჟავად და სპირტად გადაიქცევა. ქაფი, რომელსაც მოიგდებს ხოლმე ღვინო და სხვა სასმელები, ნახშირმჟავას შეიცავს. ახალ მოხდილი ღვინო სასიამოვნოდ შუშხავს პირს და ადამიანს ცხვირში ეცემა ხოლმე. ამ თვისებას და ამ გემოს, ღვინოს ნახშირმჟავა აძლევს. ნახშირმჟავა სასმელში, მაგ., ლუდში, სრულიად უვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებელია, რადგანაც ლუდის სმის დროს ცოტა ნახშირმჟავას ვაყოლებთ თანა. ამ მცირე ნაწილს კუჭისთვისაც არავითარი ზიანი არ მოაქვს, პირიქით კუჭს სწმენდავს კიდეც. მაგრამ ნახშირმჟავა საშინელი მავნებელია მაშინ, როდესაც დახურულ სარდაფში ღვინო დულს. სარდაფში ყოველთვის უნდა წმინდა ჰაერი ტრიალებდეს, თორემ შესვლისას, შეიძლება ერთ წამში, სული შეგეხუთოს და გული წაგივიდეს. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ ადამიანი უეცრად მომკვდარა. მაშ ახლა, აბა, რამდენი მოვლენა ვიცით, რომლის დროსაც ნახშირმჟავა გროვდება: წვა, ადამიანის და პირუტყვის სუნთქვა, ნიადაგიდგან ამოსვლა და სასმელების დულილი. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ ჰაერში ყოველთვის იმყოფება ნახშირმჟავა თუმცა არა უმეტეს ერთი მეათასედის ნაწილისა.

ნახშირმჟავას კირი. ბუნებაშიც ძალიან ბევრია ნახშირმჟავა, მხოლოდ გაზის სახით კი არა, შეერთებულია სხვა-დასხვა ნივთიერებასთან, გავიმეოროდ, ერთი წინად ნახული ცდა: ვიღებ კირის ქვის ნაჭერს და ვდებ მაგარ ძმრიან ჭიქაში ქვიდგან მაშინვე გამოხტებიან ჰაერგვარას ბუშტები: ეს ჰაერგვარა არის ნახშირმჟავა, რომელიც ძმარმა გამოსდევნა ქვიდგან. ნახშირმჟავა ქვაში კირთან იყო შეერთებული. მისი ქვიდგან გამოდევნა სხვა ხერხითაც შეიძლება: დიდხანს და კარგა გავახუროთ კირის ქვა ცეცხლზე, ნახშირმჟავა ცეცხლის გავლენით გამოვა, და ჩვენ მხოლოდ კირი დაგვრჩება. რთული ნივთიერება, კირისა და ნახშირმჟავასგან შედგენილი, ქიმიაში, ნახშირმჟავას კირად იწოდება. მაშასადამე, ბუნებრივი კირის ქვა, ყოფილა ნახშირმჟავას კირი.

ნახშირმჟავას კირის შედგენა. ახლა ნახშირმჟავას კირი გავანაწილეთ. აბა, ვეცადოთ და ისევ შევადგინოთ იგი. ამაზე ადვილი არაფერია: ჩავაგდოთ კირის ნაჭერი წყლიან ჭიქაში, ფრთხილად კი, ეს კირი ახლახან ამოიღეს, ჯერ დაუმწვარია. ნახეთ, რა ძალიან გაათბო წყალი. აი ახლა დაწყნარდა ყველაფერი. კირის ნაწილი გაიხსნა წყალში. გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსნელი კირი უნდა მოვაშოროთ. ძაბრზე გადავაფარებ თხელ ქაღალდს და ჭიქის წყალს ბადიაში გადმოვწურავ. ჰხედავთ, ძაბრიდგან რა წმინდა წყალი ჩამოდის, მასში კი, როგორც იცით გახსნილია კირი. მივიღეთ ესრედ წოდებული კირ-წყალია, ახლა, ნახშირმჟავას კირის მისაღებად ამ წყალს უნდა მიუმატოთ ნახშირმჟავა, მაგრამ რა გზით უნდა მოვახერხოთ ესა? ვერ მეტყვი, კოტე?

— ძალიან ადვილი მოსახერხებელია ეგა. ვიშოვნი საბერავ ტყავს და ამ ტყავით მოვაგროვებ ბუხრიდგან ამოსულ ჰაერს, მაშინ, როდესაც ბუხარში ცეცხლი ანთია. რადგანაც მხოლოდ ცეცხლის დროს ჩნდება ნახშირმჟავა. შემდეგ, ტყავიდგან, შეგროვილ ჰაერს, ჩავბერავ კირ-წყალში.

— ძალიან კარგი მოსაზრებაა, მაგრამ ცოტა ძნელია. არ შეიძლება უფრო გავაადვილოთ? სიკო, შენ როგორ-ღა მოიქცევოდი?

— მე მამაჩემისგან გამიგონია, რომ ზელცერის წყალში არის ნახშირმჟავა, თუ ესეა, მაშინ ზელცერის წყალს ჩავასხამ კირწყალში, მორჩა და გათავდა.

— ჰო, ეგ უფრო ადვილია. მაშ, ზელცერის წყალში ყოფილა ნახშირმჟავა. როცა ბოთლს თავს ახდიან ხოლმე, გინახავთ წყალს რა ამბავი აქვს, როგორ შუშხუნებს და აქეთ-იქით ნაპერწკლებს ისვრის. მაგრამ ჩვენ რომ ახლა ხელთ არა გვაქვს ზელცერის წყალი, რა უყოთ. ვხედავ, ნიკო იცინის, ალბად სხვა რამე ხერხი მოიგონა.

— ახლა მომაგონდა. ჩვენ ამოსუნთქვას ხომ ყოველთვის ნახშირმჟავა ამოსდევს. შეუბერავ კირწყალას და სხვა არაფერი არ უნდა.

— ყოჩაღ! ეს სულ ადვილი მოსახერხებელია. რადგანაც შენ მოიგონე, ნიკო, მოდი და შენვე შეუბერე. აიღე ლელი და ლელიდგან უბერე წყალსა. უცქირეთ, წყალი აიმღვრა, თითქოს რძე ჩაასხაო. ამღვრევა შედეგია იმისი, რომ წყალში მაგარი ნახშირმჟავას კირია. ეს კირი წარმოსდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსნილ კირისა და ნიკოს პირიდგან ამოსულ ნახშირმჟავა შეერთებისაგან. ჰნახეთ, რა ადვილად და მალე მივიღეთ ნახშირმჟავას კირი? დავანებოთ ცოტა ხანს თავი, ნახევარ საათს შემდეგ წყალი დაიწმინდება, ნახშირმჟავას კირი ძირზედ დარჩება. დაწმენდილი წყალი ფუხილად გადმოვასხათ ჭიქის ძირზედ, მხოლოდ კირი დარჩა. თუ დარწმუნებულნი არა ხართ, მართლა ეს ის კირია, რომელსაც ვეძებდით, ჩავასხათ ჭიქაში მაგარი ძმარი. დაინახავთ, რომ კირიდგან გამოხტნენ ბუშტები, რომლებიც შეიკავენ ნიკოს პირიდგან ამოსულ ნახშირმჟავას.

ნ. ლომაური.

(შემდეგი იქნება).



ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

ნაცვალ სახელი

რედაქტორი ნინო ნიკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი